ЗАКАВКАЗСКОЙ ФЕДЕРАЦИИ ТРУДЯЩИХСЯ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

КОММУНИСТИ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
20 ოქტომბერი
1940 წ.
№ 245 (5946)
ფასი 10 კაპ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი განვითარებისათვის, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღალხარისხოვანი ხილითა და მეღვინეობის პროდუქციით სსრ კავშირის მშრომელთა მომარაგების საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქართლის რაიონების აყვავების სტალინური პროგრამა

ღღეს პრესაში ქვეყნდება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ". ეს არის ორდენოსანი საქართველოს ერთერთი შესანიშნავი, მდიდარი კუთხის—ქართლის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აყვავების გაშლილი სტალინური პროგრამა.

საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია და პირადად ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** დაუღალავად ზრუნავენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა დიად კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკის წინსვლისა და გაფურჩქვნისათვის. ამ მზრუნველობის შედეგად ბახუშვილივ ვითარდება ბაციონალური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა, მათი კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება. ლენინურ-სტალინური ბაციონალური პოლიტიკის გაუხრელად გატარების შედეგად განვითარების ფართო გზაზე გამოდგან წინათ ყველაზე ჩამორჩენილი და მივარდნილი კუთხეებიც კი, ბედნიერ და კულტურულ ცხოვრებას იმკვიდრებენ ცარიზმის დროს დაჩაგრული და დაბეჩავებული ხალხები.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც ჩვენი დიადი საშობლოს ყველა ხალხი, თავის საკუთარ მაგალითზე, უშუალოდ გრძნობენ პარტიისა და მთავრობის დახმარების ძალას, განიცდიან მამობრივ სტალინურ მზრუნველობას.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბჭოთა მთავრობამ და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც ჯეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში. ასევე უაღრესად დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილება ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების შუშაობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკამ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სოციალისტური მეშენებლობის ყველა ფრონტზე. საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე ზრდილი დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფე ამხანაგი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია,** შესძლეს აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი თავიანთ შუშაობაში და ხალხის საზიზღარ მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში უზრუნველჰყვეს საქართველოს გადაქცევა სსრ კავშირის ერთერთ მოწინავე, რესპუბლიკად. მოპოვებულია უაღრესად თვალსაჩინო წარმატებანი მთელი სახალხო მეურნეობის, კერძოდ კი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სამრეწველო მეხილეობის ძირითად რაიონებში — ქართლში, მიღწეულია სერიოზული წარმატებანი კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი. ასე, მაგალითად, თუ 1930 წელს ხეხილის ნარგავებს 5.500 ჰექტარი ეჭირა, 1940 წელს ხეხილის ბაღების საერთო ფართობმა შეადგინა 16.873 ჰექტარი. ვენახების ფართობი კი იმავე პერიოდში 1.023 ჰექტარიდან 6.042 ჰექტარამდე გაიზარდა. თვალსაჩინოდ აიწია შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალმა. ამასთანავე განუხრელად იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ქართლის რაიონების 963 კოლმეურნეობიდან 652-ს მეცხოველეობის ორ-ორი ფერმა აქვს, ხოლო 98 კოლმეურნეობას—სამ-სამი. განუწყვეტლივ იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე, მრავლდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრები და ამასთან დაკავშირებით უმჯობესდება კოლმეურნეობათა ორგანიზაციული მომსახურება. მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების, კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის ზრდის საქმეში.

მაგრამ სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აშასთანავე აღნიშნავენ, რომ „ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღალხარისხოვანი ხილითა და მეღვინეობის პროდუქციით სსრ კავშირის მშრომელთა მომარაგების საქმეში".

სამართლიანად სწერდა ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „პრავდა": საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომლის მიწა თვით ბუნების მიერ განკუთვნილია იმისათვის, რომ მოგვცეს ადამიანის სუფრის დამამშვენებელი ნაყოფი. ეს სიტყვები შეიძლება ვთქვათ კერძოდ ქართლის რაიონებზეც, რომლებსაც მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებისათვის საუცხოო ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები მოეპოვებათ. მაგრამ ეს პირობები აქამდე არ ყოფილა მთლიანად გამოყენებული. საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია გაშლილი და ამომწურავი პროგრამა, რომლის განხორციელება ქართლს გადააქცევს აყვავებული სოფლის მეურნეობის მხარეთ, ხილისა და ვენახის ნამდვილ ბაღნარად.

დადგენილება ითვალისწინებს 1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონებში ხეხილის ნარგავების ფართობის აყვანას 45 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც 1941-45 წლებში უნდა გაშენდეს ახალი ხეხილი 28 ათას ჰექტარ ფართობზე. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფს საუკეთესო ხეხილის ბაღების გაშენებას, ისეთი ბაღებისას, რომლებიც სრული მსხმოიარობის ასაკში მოგვცემენ ხილის 20 მილიონ ფუთ მოსავალს, ხოლო უკვე 1945 წელს—5 მილიონ ფუთს. ამას დიდად შეუწყობს ხელს ხეხილის ბაღების, აგრეთვე ხეხილის სანერგეების გაშენების ღონისძიებებისათვის გრძელვადიანი კრედიტების მნიშვნელოვანი გადიდება, რასაც დადგენილება ითვალისწინებს.

ვენახების ფართობი კოლმეურნეობებში 1945 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 10.658 ჰექტარამდე, რისთვისაც უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში 8.372 ჰექტარზე უნდა გაშენდეს ახალი ვენახები. გათვალისწინებულია აგრეთვე ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ფართობის მნიშვნელოვანი ზრდა.

შაქრის ჭარხლის დარგში ღონისძიებები მოითხოვენ მუშაობის იმგვარად დაყენებას, რომ 1945 წლისათვის მიღწეულ იქნას ჰექტარზე 300 ცენტნერი ჭარხლის საშუალო მოსავლის მიღება. იმის სტიმულირებით, რომ ეს ციფრი სრულიად არ არის ზღვრული, საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკვე მიმდინარე წელს გორის რაიონის ზემო-სკრის კოლმეურნეობა „შრომამ" ჰექტარზე საშუალოდ 400 ჰექტარი შაქრის ჭარხალი მიიღო, ხოლო კასპის რაიონის ცხრამლიმ მეშვარხლეებმა ს. ჭეთიშვილმა და ა. მაჭარაშვილმა ჰექტარზე 1.000 ცენტნერიც კი მიიღეს.

მარცვლეული კულტურების დარგში საბრძოლო ამოცანად დასმულია უახლოესი 5 წლის განმავლობაში მარცვლეული თავთავიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობის აყვანა არა ნაკლებ ვიდრე 13 ცენტნერამდე, ხოლო სიმინდისა — 20 ცენტნერამდე ჰექტარზე. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას ახალი მიწების ათვისება 14 ათასი ჰექტარის რაოდენობით ჭაობების ამოშრობის, ჯაგნარების ამოძირკვისა და ყაშირის გატეხის გზით.

დადგენილება უაღრესად ფართო და კონკრეტულ ღონისძიებებს სახავს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცება-გაფართოებისათვის.

მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის დასახულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველჰყოს 1945 წლისათვის აბრეშუმის ჭიის გამოკვების აყვანა 3 ათას კოლოფ გრენამდე. ფართოდ უნდა განვითარდეს აგრეთვე მეფუტკრეობა.

უდიდესი სამუშაოების ჩატარებაა გათვალისწინებული წყალთა მეურნეობის დარგში. ამ სამუშაოების შესრულებამ უნდა უზრუნველჰყოს 27,6 ათასი ჰექტარი ახალი მიწების მორწყვა, 3 ათასი ჰექტარი დაჭაობებული მიწების ამოშრობა და 12,4 ათას ჰექტარ ფართობზე ამჟამად არსებულ სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქცია. ქართლის გლეხობის დიდი ხნის ოცნება ასრულდება: უახლოეს 5 წლის განმავლობაში ქართლის რაიონების ტერიტორია დაისერება მრავალრიცხოვანი არხებით, რომლებიც მორწყავენ უზარმაზარ ფართობს და გაადიდებენ კოლმეურნეთა სამდიდრეს.

განსაკუთრებული სიხარულით წაიკითხავენ კოლმეურნეები დადგენილების იმ თავს, სადაც ლაპარაკია საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე. უახლოესი 3 წლის განმავლობაში ქართლის რაიონებში გაყვანილ უნდა იქნას 12 სასოფლო ჩაღანდენი, წყალსადინარის 83 კილომეტრი საერთო სიგრძით, აგრეთვე ამოღებულ უნდა იქნას 20 არტეზიული ჭა. ამ სამუშაოებზე დაიხარჯება 3 მილიონი 800 ათასი მანეთი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მცირე ჰიდროელსადგურების მშენებლობა, რაზედაც დაიხარჯება 11 მილიონ 100 ათასი მანეთი. გორის, ყაზბეგის, დუშეთისა და ქარელის რაიონების სოფლები და თვით რაიონის ცენტრები ელექტროენერგიას მიიღებენ, კოლმეურნეთა სახლებს ილიჩის ელნათურა გააჩირაღდნებს.

ქართლის რაიონების აღმავლობის საქმეში უდიდეს როლს შეასრულებენ აგრეთვე ის ფართო ღონისძიებანი, რომლებსაც დადგენილება ითვალისწინებს მექანიზაციისა და აგროტექნიკის დარგში. უახლოეს წლებში ქართლის რაიონები მიიღებენ ხილისა და ყურძნის უხვ მოსავალს. მისი გადამუშავების უზრუნველსაყოფად გადამმუშავებელი მრეწველობის დარგში გატარდება მთელი რიგი ღონისძიებანი.

სსრ კავშირის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ დოკუმენტს. ამ დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის ენერგიული ბრძოლა არა მარტო ქართლის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ღირსების საქმეა, არამედ აგრეთვე საქართველოს ყველა დანარჩენი რაიონის ბოლშევიკებისაც. ამ დადგენილებას უდიდესი კმაყოფილებითა და სიხარულით შეხვდებიან არა მარტო ქართლის რაიონების, არამედ მთელი საქართველოს მშრომელნი.

წინ გვიძევს უაღრესად დიდი და სერიოზული სამუშაო, რისთვისაც საჭიროა მობილიზაცია ვუყოთ მთელ ჩვენს ძალებს და დავრაზმოთ ქართლის რაიონების მშრომელნი დადგენილების განუხრელად გატარებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც აღზრდილნი არიან **ამხანაგ ლ. პ. ბერიას** მიერ მუშაობის სტალინურ სტილზე, შესძლებენ საბჭოთა მთავრობისა და სტალინური ცენტრალური კომიტეტის დავალების ღირსეულად შესრულებას, — უზრუნველჰყოფენ დიდი **სტალინის** სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ოპერა „კაკო ყაჩაღის" დიდი წარმატება

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გუშინ გვიჩვენა მიმდინარე სეზონის პირველი პრემიერა—ა. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი". სპექტაკლი დიდი წარმატებით ჩატარდა. ყოველ სურათს ხალხით გაჭედილი დარბაზი მხურვალე ოვაციებით ხვდებოდა. როგორც თვით ოპერას, ისე დადგმას, შესრულებას და მხატვრულ გაფორმებას საერთო მოწონებით შეხვდნენ. პირველი და მერვე სურათების ცეკვები მაყურებლის მოთხოვნით განმეორებით შესრულდა.

მეორე და მეოთხე მოქმედების შემდეგ სპექტაკლის ავტორებს მხურვალე ოვაციები მოუწყვეს. სცენაზე ბევრჯერ გამოიწვიეს კომპოზიტორი ა. ანდრიაშვილი, რეჟისორი გ. ჟურული, დირიჟორი ო. დიმიტრიადი, მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი და მსახიობები — მ. ნაკაშიძე, ნ. ცომაია, დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, ვენაძე, გრიგორაშვილი და სხვები.

დღეს პრემიერის მეორე დღეა. მთავარ როლებს ასრულებენ: თ. ლაპიაშვილი, ნ. ცომაია, დ. გამრეკელი, მ. ყვარელაშვილი და სხვ.

საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სამრეწველო მეხილეობის ძირითად რაიონებში — ქართლში, მიღწეულია სერიოზული წარმატებანი კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი.

თუ 1930 წელს ხეხილის ნარგავებს ეჭირათ 5.500 ჰექტარი, 1940 წელს ხეხილის ბაღების საერთო ფართობმა შეადგინა 16.873 ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში — 8.212 ჰექტარი.

ვენახების ფართობი 1.023 ჰექტარიდან, რაც 1930 წელს იყო, 1940 წელს გაიზარდა 6.042 ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 2.286 ჰექტარამდე.

შექმნილია ხეხილის სანერგეები, რომლებიც 1941 და 1942 წლებში უზრუნველჰყოფენ 1.400 ათასი ცალი სტანდარტული ნერგის მიღებას.

შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალმა 1939 წელს შეადგინა 196 ცენტნერი ჰექტარზე, ნაცვლად 136 ცენტნერისა 1935 წელს.

განუხრელად იზრდება მეცხოველეობა ქართლის რაიონებში.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა 1931 წლის 236.000 სულიდან 1940 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 253.525 სულამდე, ცხვრისა და თხის სულადობა — 1931 წლის 215.700 სულიდან 463.000 სულამდე 1940 წლის 1 იანვრისათვის. ამავე პერიოდში ღორის რაოდენობა გაიზარდა 17.806 სულიდან 86.000 სულამდე და ცხენისა — 23.000 სულიდან 24.600 სულამდე.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 36.128 სულიდან გაიზარდა 93.538 სულამდე, ცხვრისა და თხის სულადობა ერთისაგან და უფრო მეტად გაიზარდა და 1940 წელს მან შეადგინა 169 ათასი სული, ღორის რაოდენობა 2.387 სულიდან გაიზარდა 4.743 სულამდე და ცხენისა—1.448-დან 4.012 სულამდე.

ქართლის რაიონების 963 კოლმეურნეობიდან 652 კოლმეურნეობას აქვს მეცხოველეობის ორ-ორი ფერმა, ხოლო 98 კოლმეურნეობას—სამ-სამი ფერმა.

წლითიწლობით იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. მოწყობილია 13 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომლებშიც არის 666 ტრაქტორი, 114 კომბაინი, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

გაიზარდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრები და გაუმჯობესდა კოლმეურნეობათა აგრონომიული მომსახურება.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების საფუძველზე მიღწეულია წარმატებანი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების, კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის ზრდის საქმეში.

1940 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ყველა გლეხურ მეურნეობათა 92 პროცენტზე მეტი. კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა და 1939 წელს შეადგინა 68 მილიონ მანეთზე მეტი, ნაცვლად 1935 წლის 29 მილიონი მანეთისა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი განვითარებისათვის, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღალხარისხოვანი ხილითა და მეღვინეობის პროდუქციით სსრ კავშირის მშრომელთა მომარაგების საქმეში.

არსებული ხეხილის ნარგავებისა და ვენახების მოვლა-დამუშავება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ადგილი აქვს აგროტექნიკის დარღვევებს, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების დარგში. 1940 წლის 1 ივლისისათვის 193 კოლმეურნეობას ჰქონდა მეცხოველეობის მხოლოდ თითო ფერმა, ხოლო 18 კოლმეურნეობას ფერმები სრულებით არ ჰქონდა. საკმაო ყურადღება არ ექცევა მეცხოველეობის საკვები ბაზის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი ქართლის რაიონებში მეხილეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მარცვლეულის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის:

I. მეხილეობის დარგში

1. 1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონებში ხეხილის ნარგავების ფართობი აყვანილ იქნას 45 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც 1941-45 წლების განმავლობაში გაშენდეს ახალი ხეხილი 28 ათას ჰექტარ ფართობზე.

2. ამ გეგმის შესასრულებლად:

ა) 1941-45 წლებში კოლმეურნეობებში გაშენდეს ხეხილის ახალი ბაღები 16.800 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის:

ვაშლი	9.000 ჰექტარი
მსხალი	2.500 ჰექტარი
ატამი	2.000 ჰექტარი
გარგარი	400 ჰექტარი
ბალი	1.500 ჰექტარი
ქლიავი	1.000 ჰექტარი
ნუში	400 ჰექტარი

დაწესდეს კოლმეურნეობებში ხეხილის ნარგავების გაშენების შემდეგი გეგმა წლებისა და ცალკეული კულტურების მიხედვით:

წელი	სულ	ვაშლი	მსხალი	ატამი	გარგარი	ბალი	დანარჩენი ხეხილი
1941	2490	1370	300	310	80	240	190
1942	2990	1780	400	300	90	240	180
1943	3410	1670	650	410	90	305	285
1944	4480	2360	640	535	100	410	435
1945	3430	1820	510	445	40	305	310

ბ) 1941-45 წლების განმავლობაში გზების, სარწყავი არხების გაყოლებით, კოლმეურნეობების, სასოფლო საბჭოების, სკოლების კარმიდამოებზე, ხეხილის ბაღების გარშემო, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ქარსაცავი ნარგავების, ცოცხალი ღობის სახით და სხვ. დაირგოს სხვადასხვა ხეხილი შემდეგი რაოდენობით:

კაკალი—200 ათასი ძირი, კომში—200 ათასი ძირი, ნუში—300 ათასი ძირი, ბროწეული—200 ათასი ძირი, ლეღვი—100 ათასი ძირი და დანარჩენი ხეხილი—250 ათასი ძირი, რაც მთლიან დარგვაზე გადაყვანით შეადგენს: კაკალი—4.000 ჰექტარს, კომში—1000 ჰექტარს, ნუში—1.500 ჰექტარს, ბროწეული—500 ჰექტარს, ლეღვი—500 ჰექტარს და დანარჩენი ხეხილი—750 ჰექტარს;

გ) ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გამოსცენ დადგენილება, რომელიც ქართლის რაიონების კოლმეურნეებს ვალდებულს გახდის 1945 წლისათვის საკარმიდამო ნაკვეთებზე ჰქონდეთ არანაკლებ 20 ძირი ხეხილისა (ვაშლი, მსხალი, კაკალი, ატამი, ბალი, ალუბალი) თვითეულ კომლზე, რისთვისაც 1941-1945 წლების განმავლობაში დარგონ ახალი ხეხილი საჭირო რაოდენობით.

3. ხეხილის ბაღებში გაშენდეს უმთავრესად შემდეგი საუკეთესო, გამოცდილებით შემოწმებული, ჯიშები:

ვაშლი — კეხურა, შამპანური რენეტი, კანადის რენეტი, კოკსის ნარინჯისფერი რენეტი, ზამთრის ოქროსფერი პარმენი, ქართული სინაპი, ბელფლორი, ზამთრის ბანანი და კანდილ-სინაპი;

მსხალი — გულაბი, ბერე-ბოსკი, ხექპეპური, ვილიამსი, სენჟერმენი, ზამთრის დეკანჯა, ბერე-არდამპონი;

ატამი—ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური ვარდისფერი, ხიდისთაური ყვითელი საგვიანო, ხირსული, ამზდენი, ალბერტი და სხვ.

4. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებში თესლოვანი ხეხილის ბაღების გაშენების დროს ვაშლისა და მსხლის ძირითად ხეებთან ერთად რიგებში აუცილებლად უნდა დაირგოს მსხმოიარობის ადრე დამწყები ვაშლი და მსხალი ჭონდარა სახირეებზე, აგრეთვე ატამი იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც ძირითადი ბაღი სრულ მსხმოიარობას დაიწყებს, ჭონდარა ნარგავები ამოღებულ იქნან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს 1942 წლის ბოლომდე მთლიანად მოახდინონ ხეხილის ბაღების სიმერქნის ლიკვიდაცია ხეების დანაკლისი რაოდენობის ჩარგვით.

6. ქარის გავლენისაგან ხეხილის ბაღების დაცვის მიზნით გაშენდეს საცალიერი ქარსაფარი და ქარსაპობი ზოლები, ამ ზოლების გაშენება არსებული ბაღების დასაცავად დამთავრდეს 1943 წელს.

7. მაღალხარისხოვანი სარგავი მასალით ხეხილის ბაღების გაშენებისა და რემონტის, აგრეთვე ქარსაფარი ზოლებისა და ცოცხალი ღობის გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად 1941-1945 წლებში დამატებით გაშენდეს სანერგეები შემდეგი რაოდენობით:

ხეხილის ნარგავების სანერგეები —337 ჰექტარი,
ქარსაფარი ხეების სანერგეები —200 ჰექტარი,
სანერგეები ცოცხალი ღობისათვის—200 ჰექტარი.

1941 წლის მყნობის დაწყებამდე ჩატარდეს უმეტესად ძვირფასი მაღალხარისხოვანი სადედე ხეების შერჩევა, რომლებიდანაც აღებულ უნდა იქნას კალმები მყნობისათვის, და დაწესდეს ამ ხეების განსაკუთრებული მოვლა.

8. 1941 წლის 1-ლი ნახევრის დამლევამდე კოლმეურნეობებში გამოიყოს და დაიჯავშნოს სათანადო ფართობები 1941-1945 წლებში ხეხილის ბაღების გაშენების გეგმის შესასრულებლად.

9. ხეხილის ნარგავების სისტემატური და წესიერი მოვლის უზრუნველყოფის მიზნით ნებადართულ იქნას კოლმეურნეობებში მეხილეობის სპეციალური ბრიგადების შექმნა, რომლებზედაც მიმაგრებულ იქნას ხეხილის ბაღების ნაკვეთები არანაკლებ ვიდრე 5-7 წლის ვადით.

დაშვებულ იქნას მეხილეობის ბრიგადებზე სხვა კულტურების ნათესების მიმაგრება იმ რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს ბრიგადის წევრების თანაბარ დატვირთვას წლის განმავლობაში.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უახლოესი ორი წლის განმავლობაში უზრუნველჰყონ ლიკვიდაცია ხეხილის ბაღების დაავადებისა სხვადასხვა მავნებლებითა და ავადმყოფობით.

სსრ კავშირის მიწსახკომმა გააფართოოს ქართლის რაიონებში აღრიცხვისა და პროგნოზის სამსახურის პუნქტების ქსელი.

11. ხეხილის ბაღების მოსავლიანობის გასაღიდებლად, ორგანიული სასუქების შეტანასთან ერთად, აუცილებლად შეტანილ იქნას მინერალური სასუქებიც.

12. გადიდდეს გრძელვადიანი კრედიტის ოდენობა ხეხილის ბაღების, აგრეთვე ხეხილის სანერგეების გაშენების ღონისძიებათათვის:

ა). ხეხილის ბაღების გაშენებისა და მოვლისათვის—3.000 მანეთამდე ჰექტარზე, აქედან გაშენების წელს—1.500 მანეთი, მოვლის 1-ლ წელს—450 მან., მოვლის მე-2 წელს—450 მან., მოვლის მე-3 წელს—350 მან., მოვლის მე-4 წელს—250 მან.;

ბ) სანერგეების, აგრეთვე სათესლე შკოლების გაშენებისათვის 3.500 მანეთამდე ჰექტარზე, აქედან გაშენების წელს—1.500 მან., მოვლის 1-ლ წელს—1.000 მან. და მოვლის მეორე წელს — 1.000 მან.

13. მეხილეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაძლიერებლად საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან მიმდინარე წელს მოეწყოს მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითი სადგური იმ პირობით, რომ საჭირო ბაზის შექმნის შემდეგ, 1942 წლისათვის, ეს სადგური გადაკეთებულ იქნას მეხილეობის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტად ქ. გორში გადატანით.

14. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების გამოყენებით, რომლებიც ხილის მაღალ მოსავალს იღებენ, ქართლის რაიონების ხეხილის ნარგავების მთელი ფართობიდან სრული მსხმოიარობის ასაკში უზრუნველყოფილ იქნას ხილის საერთო მოსავალი არანაკლებ 20 მილიონი ფუთისა, ხოლო 1945 წელს არანაკლებ 5 მილიონი ფუთისა.

II. მევენახეობის დარგში

1. 1945 წლის დამლევისათვის ვენახების ფართობი კოლმეურნეობებში აყვანილ იქნას 10.658 ჰექტარამდე, რისთვისაც 1941-1945 წლების განმავლობაში გაშენდეს 8.372 ჰექტარი ახალი ვენახები შემდეგი განაწილებით წლების მიხედვით:

1941 წელი — 766 ჰექტარი,
1942 წელი — 696 ჰექტარი,
1943 წელი — 1772 ჰექტარი,
1944 წელი — 1838 ჰექტარი,
1945 წელი — 3300 ჰექტარი.

2. აღნიშნული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად 1940 წლის დამლევამდე კოლმეურნეობებში დამთავრდეს გამოყოფა ფართობებისა ვენახების გასაშენებლად და 1941 წლის გაზაფხულზე დამატებით გაშენდეს ამერიკული ვაზის სადედეები 110 ჰექტარზე.

3. ქართლის რაიონებში ახალ ვენახებში დაირგოს უმთავრესად საუკეთესო ადგილობრივი ჯიშების ვაზი: „ატენური", „გორული მწვანე", „მუხრანული", „ქვაშხური", „რქაწითელი", „გლდანური" და სხვ.

III. მეგოსჯნეობისა და კარტოფილის დარგში

1. ქართლის რაიონებში გადიდდეს ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ფართობი და დაწესდეს თესვის შემდეგი გეგმა:

ბოსტნეულისა:

1941 წელი — 4.000 ჰექტარი,
1942 წელი — 4.440 ჰექტარი,
1943 წელი — 4.980 ჰექტარი,
1944 წელი — 5.770 ჰექტარი,
1945 წელი — 6.500 ჰექტარი.

კარტოფილისა:

1941 წელი — 3.620 ჰექტარი,
1942 წელი — 4.110 ჰექტარი,
1943 წელი — 4.750 ჰექტარი,
1944 წელი — 5.500 ჰექტარი,
1945 წელი — 6.000 ჰექტარი.

2. გატარდეს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის დამუშავების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი იმ ანგარიშით, რომ 1945 წლს მიღწეულ იქნას მოსავლიანობის გადიდება საშუალოდ ჰექტარზე: კომბოსტოსი — 30 ტონამდე, პამიდორისა—20 ტონამდე, თავიანი ხახვისა—15 ტონამდე, კიტრისა—15 ტონამდე და კარტოფილისა—სულ მცირე 13 ტონამდე.

IV. შაქრის ჭარხლის დარგში

1. აგარის შაქრის ქარხნის ნედლეულით სრული უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს 1941 წლიდან ქასპის და გორის რაიონებში შაქრის ჭარხლის ნათესების არანაკლებ ვიდრე

საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ბრუნვათა შემოღება, უზრუნველყოფილ იქნას თესლბრუნვათა სრული ათვისება 1945 წლისათვის.

4. 1941-1945 წლების განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას ახალი მიწების ათვისება 14 ათასი ჰექტარის რაოდენობით ჭაობების ამოშრობის, ჯაგნარების ამოძირკვისა და ყამირის გატეხის გზით.

VI. მეცხოველეობის განვითარების დარგში

1. 1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონების კოლმეურნეობებში პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობა აყვანილ იქნას:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—190 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 102 ათასი სულისა, მათ შორის: ძროხისა და ფურკამეჩისა—41 ათას სულამდე, ხარისა და კამეჩისა 2 წელზე ზევით—80 ათას სულამდე;

ბ) ცხვრისა და თხისა—558 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 209,1 ათასი სულისა, მათ შორის: დედაცხვრისა და დედათხისა —309 ათას სულამდე;

გ) ღორისა—20 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 5.750 სულისა, მათ შორის დედაღორისა—5,5 ათას სულამდე;

დ) ცხენისა—7,0 ათას სულამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 4,6 ათასი სულისა, მათ შორის: ფაშატი ცხენისა—2,0 ათას სულამდე.

2. ვინაიდან საკოლმეურნეო ჯოგის საკუთარი რეპროდუქცია ვერ უზრუნველჰყოფს სულადობის გადიდების ამ გეგმის შესრულებას, მოეწყოს კოლმეურნეობათა ფერმების, აგრეთვე მუშა პირუტყვის დასაკომპლექტებლად კოლმეურნეებისა და სხვ. მეურნეობებისაგან პირუტყვის შესყიდვა შემდეგი რაოდენობით: 5,6 ათასი სული ძროხისა, უშობელისა და დეკეულისა, 15,0 ათასი სული ხარისა, კამეჩისა და მოზვრისა, 13,0 ათასი სული ცხვრისა და თხისა.

3. აღინიშნოს, რომ ქართლის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არა აქვთ მეცხოველეობის ფერმები, დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს 1940 წლის დამლევამდე უზრუნველჰყონ მეცხოველეობის ფერმების მოწყობა ყველა კოლმეურნეობაში „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების შესაბამისად.

4. პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, 1941 წელს ქართლის რაიონების კოლმეურნეობებში მოეწყოს შვიცის ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეცხოველეობის 16 საჯიშე ფერმა.

5. დაევალოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ქართლის რაიონების კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად 1941 წლის პირველ ნახევარში გაგზავნოს საქართველოში ჯიშიანი პირუტყვის შემდეგი რაოდენობა:

შვიცის ჯიშის მოზვერი არა უმცირეს მე-3 გენერაციისა—300 სული,

შვიცის ჯიშის უშობელი არა უმცირეს მე-2 გენერაციისა—200 სული,

შვიცის ჯიშის დეკეული არა უმცირეს მე-2 გენერაციისა—400 სული.

წმინდა ჯიშის საჯიშე ყოჩი:

„რამბულიეს“ ჯიშისა—350 სული,

„პრეკოსის“ ჯიშისა—150 სული,

ინგლისური მსხვილი თეთრი ჯიშის ღორი:

კერატი—200 სული,

დედაღორი—250 სული.

ინგლისურ-ყაბარდოული და ყაბარდოული ჯიშის საჯიშე ფაშატი—600 სული.

გარდა ამისა ნებადართულ იქნას, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს მიეყიდოთ იმ ჯიშიანი ულაყებისა და ფაშატების სულადობის მთელი გარდამეტი ნაწილი, რომლებსაც ზრდიან სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოში არსებული ცხენსაშენები.

6. დუშეთის, თიანეთის, კასპისა და გორის რაიონების მთიან სოფლებში, აგრეთვე ყაზბეგის რაიონში დაცულ იქნას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხევსურული ჯიში, გატარებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი ამ ჯიშის გასაუმჯობესებლად.

7. მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით საკვები ბალახების ნათესები გაფართოვდეს 1945 წლის დამლევისათვის სულ მცირე 15 ათასი ჰექტარამდე, აგრეთვე მოეწყოს კოლმეურნეობების მიერ სრული გამოყენება დასილოსებისათვის ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების ნარჩენებისა და შაქრის ჭარხლის ფოჩისა.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს 1941-1945 წლების განმავლობაში გაატარონ ღონისძიებანი მდელოებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესებისათვის (ყამირის მოხვნა, მომდელოება, ამოშრობა, წყლით უზრუნველყოფა, სარეველა ბალახებისა და ქვებისაგან გაწმენდა და სხვ.).

9. მთლიანად გამოყენებულ იქნას პირუტყვის საკვებად დურდო, რომელსაც იღებენ აგარის შაქრის ქარხანაში ჭარხლის გადამუშავებისაგან. დაევალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს გააფართოოს და მოაწყოს დურდოს საშრობი აგარის შაქრის ქარხანაში და დადგას 2 წნეხი დურდოს დასაბრიკეტებლად და შესწყვიტოს დურდოს გატანა საქართველოდან.

10. მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საქმის გასაუმჯობესებლად და ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარების კადრების მოსამზადებლად, აგრეთვე მეცხვარეობის ფერმების დაკომპლექტებაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადება სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საქართველოს სსრ მიწსახკომის გამგებლობაში გადაცემის შესახებ, რათა იგი გამოყენებულ იქნას საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო ბაზად.

დატოვებულ იქნას საბჭოთა მეურნეობაში ცხვრის გამოსასვენელი სულადობა 8 ათასი სულის რაოდენობით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, ხოლო მთელი დანარჩენი პირუტყვი მიეყიდოს კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ფერმების შესავსებად.

კოლმეურნეობებისათვის პირუტყვის მიყიდვა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობის გარდამეტი მიწების ჩამოჭრა ჩატარდეს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 20 ივლისის დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების ნაწილის, მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების მეურნეობათა ლიკვიდაციის შესახებ, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა მეურნეობებისაგან ზედმეტი მიწების ჩამოჭრისა და ამის ხარჯზე კოლმეურნეობათა მიწების გადიდების შესახებ“.

VII. მეაბრეშუმეობის დარგში

1. ქართლში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, აყვანილ იქნას აბრეშუმის ჭიის გამოკვება 1945 წელს 3 ათას კოლოფ გრენამდე.

2. მეაბრეშუმეობისათვის სათანადო საკვები ბაზის შექმნის მიზნით გაშენებულ იქნას მაღალტანიანი თუთის ხის 420 ჰექტარი პლანტაციები, და, გარდა ამისა, დარგულ იქნას ხეხილის ბაღების გარშემო, სარწყავი არხების გაყოლებით, კოლმეურნეობების, სკოლების, სოფლსაბჭოების და სხვ. ქარმიდამოებში მაღალტანიანი თუთის ხეები 2.000 ათასი ძირის რაოდენობით.

3. თუთის ხის დარგვის გეგმას სტანდარტული სარგავი მასალით უზრუნველსაყოფად გაშენდეს თუთის სანერგეები 200 ჰექტარ ფართობზე.

4. აყვანილ იქნას 1945 წლისათვის აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვება გეგმის 50 პროცენტამდე, რისთვისაც, კოლმეურნეობებში არსებული სადგომების გამოყენების გარდა, 1941-1945 წლებში აშენდეს 35 საჭიე ბინა.

5. დაწესდეს თუთის ნარგავთა სანერგეებისა და პლანტაციების გაშენების ღონისძიებათა გრძელვადიანი დაკრედიტება:

ნათესის განყოფილებებზე — 1.200 მანეთი ჰექტარზე,

სანერგეებზე — 3.000 მანეთი ჰექტარზე, აქედან: გაშენების წელს — 2.000 მანეთი და მეორე წელს 1.000 მანეთი;

თუთის პლანტაციებზე — 1.500 მანეთი ჰექტარზე, აქედან: გაშენების წელს — 1.000 მანეთი და მეორე წელს — 500 მანეთი.

დაწესდეს თუთის ნათესის განყოფილებებზე გაცემული სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაბრუნების ვადა — 3 წელი, სანერგეებზე — 4 წელი და პლანტაციებზე — 5 წელი.

6. ერთი საჭიე ბინის მშენებლობისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ოდენობა დაწესდეს 20 ათასი მანეთის თანხით, რაც დაიფაროს 10 წლის განმავლობაში.

VIII. მეფუტკრეობის დარგში

ზეხილის ბაღების ნორმალური დამტვერვის, აგრეთვე კოლმეურნეობებში შემოსავლის დამატებითი წყაროს შექმნის მიზნით, აყვანილ იქნას 1945 წლის დამლევისათვის ფუტკრის ოჯახის რაოდენობა საკოლმეურნეო საფუტკრეებში 60 ათასამდე, ნაცვლად 1940 წელს არსებული 4 ათასისა, აქედან:

1941 წელს — 12.750 სკამდე
1942 „ — 23.720 „
1943 „ — 36.900 „
1944 „ — 47.450 „
1945 „ — 60.000 „

IX. წყალთა მეურნეობის დარგში

წყალთა მეურნეობის იმ სამუშაოთა მოცულობის გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, — წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ჩაატარონ 1941-1945 წლებში წყალთა მეურნეობის შემდეგი სამუშაოები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ 27,6 ათასი ჰექტარი ახალი მიწების მორწყვას, 3 ათასი ჰექტარი დაჭაობებული მიწების ამოშრობას და 12,4 ათას ჰექტარ ფართობზე არსებულ სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქციას:

1. ა) 1941 წელს შეუდგნენ და 1942 წელს დაამთავრონ მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობა მცხეთის რაიონში, 6,9 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობების მიღებით და 4,6 ათას ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით, რისთვისაც გაიყვანონ ლამი—მისაქციელის არხი მდინარე არაგვიდან, 22 კილომეტრის სიგრძისა, თელოვანის არხი მდინარე ქსანიდან 10 კილომეტრის სიგრძისა, და მოაწყონ საჭიჩაო სადგური სოფლების წეროვანის, გოროვანის, ჩარდახის და სხვ. ზემო მიწების მოსარწყავად;

ბ) 1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ სარწყავი არხის გაყვანა თეთრწყაროს რაიონის სოფ. სამშვილდეში, 6 კილომეტრის სიგრძისა, რომელიც უზრუნველჰყოფს 600 ჰექტარი ახალი მიწების მორწყვას;

გ) 1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ დიდმის სარწყავი სისტემის მე-3 ზონის მშენებლობა თბილისის რაიონში, 560 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით, რისთვისაც გაიყვანონ არხი, 10,6 კილომეტრი სიგრძისა, და მოახდინონ მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული საქაჩავი სადგურის რეკონსტრუქცია;

დ) 1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ ერწო-თიანეთის ჭაობების ამოშრობა თიანეთის რაიონში 3.000 ჰექტარ ფართობზე;

ე) 1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ ჯიქურაულის სარწყავი არხის გაყვანა, 10 კილომეტრის სიგრძისა დუშეთის რაიონში, 400 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით;

ვ) 1942 წელს შეუდგნენ და 1943 წელს დაამთავრონ სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მშენებლობა ხაშურის, ქარელისა და გორის რაიონებში, 6,9 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობების მიღებით და 1.000 ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით, რისთვისაც გაიყვანონ არხი მდინარე მტკვრიდან — სოფელ ხცისიდან, 30 კილომეტრის სიგრძისა;

ზ) 1942 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ ფიზი-ოკამის სარწყავი არხის გაყვანა მდინარე ქსანიდან, 26 კილომეტრის სიგრძისა, ამასთან გაითვალისწინონ წყლის ნაწილობრივი გადაგდება კასპის რაიონის მდინარე ლეხურაში, 2,9 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით და 1,1 ათას ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით;

თ) 1942 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ საგურამოს არხის გაყვანა მცხეთის რაიონში მდინარე არაგვიდან, 22 კილომეტრის სიგრძისა, 1,8 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით და 700 ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით;

ი) 1943 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ ვანათის სარწყავი არხის გაყვანა მდინარე პატარაულიახვიდან, 17 კილომეტრის სიგრძისა, გორისა და სტალინირის რაიონებში, 3,5 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით;

კ) 1943 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ კასპის სარწყავი არხის გაყვანა მდინარე ლეხურის ველზე კასპის რაიონში, 12 კილომეტრის სიგრძისა, 600 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით და 500 ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით;

ლ) 1943 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ აწურიანის სარწყავი არხის გაყვანა, 12 კილომეტრის სიგრძისა, საქაჩავი სადგურით მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე რკინიგზის სადგურ გრაკალთან კასპის რაიონში, 1,5 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით;

მ) 1943 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ დოეს-გრაკალის არხის გაყვანა გორისა და კასპის რაიონებში, 18 კილომეტრის სიგრძისა, 1.000 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით და 1.000 ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით;

6) 1945 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ სარწყავი არხების რეკონსტრუქცია მდინარე თეძამის ველზე კასპის რაიონში 3.000 ჰექტარ ფართობზე;

ო) 1942 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ 5 მცირე სარწყავი არხის მშენებლობა ხაშურის რაიონში, 700 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით;

პ) 1942 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ 8 მცირე არხის მშენებლობა ქარელის რაიონში, 200 ჰექტარი ახალი სარწყავი მიწების მიღებით და 500 ჰექტარ ფართობზე არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციით;

ჟ) 1942-1944 წლებში ჩაატარონ სამუშაოები მდინარე ჩერებულას რეგულირებისათვის და მდინარე ლიახვის ხაპირების გასამაგრებლად სოფელ კარალეთთან და ქ. გორთან გორის რაიონში.

2. 1941-1945 წ. წ. წყალთა მეურნეობის მშენებლობისათვის დამატებითი კაპიტალური დახარჯვების ოდენობა განისაზღვროს 43 მილიონი მანეთით, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე — 22,5 მილიონი მანეთი და კოლმეურნეობების ხარჯზე—20,5 მილიონი მანეთი, წლებისა და წყაროების მიხედვით შემდეგი განაწილებით:

	სულ (მილიონი მან.)	აქედან	
		ბიუჯეტი	კოლმეურნეობათა სახსრები
1941 წ.	7,0	3,9	3,1
1942 წ.	18,0	9,6	8,4
1943 წ.	14,0	7,0	7,0
1944 წ.	2,0	1,0	1,0
1945 წ.	2,0	1,0	1,0
სულ	43	22,5	20,5

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული წყალთა-სამეურნეო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

სსრ კავშირის მიწსახკომმა საჭირო დახმარება გაუწიოს მშენებლობის ჩატარებაში, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენასა და დამტკიცებაში.

X. საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობის დარგში

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადება 1941-1943 წ. წ. 12 სასოფლო წყალსადენის გაყვანის შესახებ, წყალსადინარის 83 კილომეტრის საერთო სიგრძისა, აგრეთვე 20 არტეზიული ჭის ამოღების შესახებ გორის რაიონის იმ სოფლებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან სასმელი წყლით.

განისაზღვროს ამ სამუშაოებზე დახარჯულთა საერთო მოცულობა 3.800 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან 1.360 ათასი მანეთი ბიუჯეტით, 1.220 ათასი მანეთი სასოფლო-სამეურნეო კრედიტით და 1.220 ათასი მანეთი კოლმეურნეობათა ხარჯზე.

დაევალოს სსრ კავშირის ფინსახკომს და სსრ კავშირის მიწსახკომს გაითვალისწინონ 1941, 1942 და 1943 წლების ბიუჯეტსა და სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების გეგმაში ზემოთ აღნიშნული ასიგნებანი სასოფლო წყალსადენების მშენებლობისათვის.

2. ქართლის რაიონებში მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს:

ა) 1941 წელს შეუდგნენ და 1942 წელს დაამთავრონ ტირიფონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა გორის რაიონში, 3.000 კილოვატის სიმძლავრისა, 6 მილიონი მანეთის ღირებულებისა, რომელიც უზრუნველჰყოფს გორის რაიონის 20 სოფლის ელექტროფიკაციას;

ბ) 1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ ჰიდროელსადგურის მშენებლობა მდინარე ქისტურაზე ყაზბეგის რაიონში, 300 კილოვატის სიმძლავრისა და 1.400 ათასი მანეთის ღირებულებისა, რომელიც უზრუნველჰყოფს რაიონის ცენტრ ყაზბეგისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას და ყაზბეგის რაიონის 20-ზე მეტი სოფლის ელექტროფიკაციას;

გ) 1941 წელს შეუდგნენ და 1942 წელს დაამთავრონ ჟინვალის ჰიდროელსადგურის მშენებლობა დუშეთის რაიონში, 420 კილოვატის სიმძლავრისა და 2,5 მილიონი მანეთის ღირებულებისა, რომელიც უზრუნველჰყოფს რაიონის ცენტრ დუშეთისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას და დუშეთის რაიონის 11 სოფლის ელექტროფიკაციას;

დ) 1941 წელს შეუდგნენ და დაამთავრონ ფანასაურის ჰიდროელსადგურის მშენებლობა, 75 კილოვატის სიმძლავრისა, 400,0 ათასი მანეთის ღირებულებისა;

ე) 1941 წელს დაამთავრონ ძამაჰესის მშენებლობა ქარელის რაიონში, 250 კილოვატის სიმძლავრისა და 900 ათასი მანეთის ღირებულებისა, რომელიც უზრუნველჰყოფს რაიონის ცენტრ ქარელისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას და ქარელის რაიონის 26 სოფლის ელექტროფიკაციას;

3. განისაზღვროს ქართლის რაიონების მცირე ჰიდროელსადგურების მშენებლობისა და ელექტროფიკაციისათვის საჭირო დანახარჯების საერთო მოცულობა 1941-1942 წლებისათვის 11.100 ათასი მანეთის რაოდენობით, დაფინანსების შემდეგი განაწილებით წლებისა და წყაროების მიხედვით:

	სულ დანახარჯები (ათას მან.)	აქედან:		
		ბიუჯეტი	სას.-სამ. კრედიტი	კოლმეურნეობათა სახსრები
1941 წ.	6.000	3.800	500	1.700
1942 წ.	5.100	3.200	600	1.300
სულ:	11.100	7.000	1.100	3.000

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის ფინსახკომს გაითვალისწინონ საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის გეგმასა და ბიუჯეტში 1941 წელს 3.800 ათასი მანეთი და 1942 წელს 3.200 ათასი მანეთი ქართლის რაიონების ელექტროფიკაციის ღონისძიებებისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს კაპიტალური მშენებლობის გეგმაში 1941 წლისათვის საქართველოსა სს რესპუბლიკაში 3 ხიდის აგება ქართლის რაიონებში: ქარელის რაიონში მდინარე მტკვარზე, 4 მილიონი მანეთის ღირებულებისა და მდინარე ფრონეზე, 700 ათასი მანეთის ღირებულებისა, ხოლო გორის რაიონში მდინარე ლიახვზე, 1,5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაითვალისწინონ კაპიტალურ სამუშაოთა 1941 წლის გეგმაში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის ხაზით 2 მილიონი მანეთი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, აგრეთვე ასიგნობანი საბჭოთა მეურნეობების 25 კილომეტრის საერთო სიგრძის შიდა გზებისა და მისასვლელი გზების გასაყვანად.

XI. მექანიზაციისა და აგროტექნიკის დარგში

1. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს:

ა) მოაწყოს 1941 წლის გაზაფხულისათვის 2 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური — შინდისისა გორის რაიონში და რუისისა — ქარელის რაიონში, აგრეთვე მანქანით მთიბავი 2 რაზმი თბილისისა და ბორჯომის რაიონებში;

ბ) ააგოს 1941 წელს:

მტს-ებთან 4 სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნო 360 ათასი მანეთის საერთო ღირებულებისა,

16 ფარდული კომბაინების და მტს-თა სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახად, 380 ათასი მანეთის საერთო ღირებულებისა,

20 საცხოვრებელი სახლი მტს-ების მუშაკებისათვის, 2 მილიონი მანეთის საერთო ღირებულებისა;

გ) მისცეს მტს-ებს ნავთის ბაზების, ელექტრომომარაგების მოსაწყობად და კარმიდამოების წესრიგში მოსაყვანად—1 მილიონი მანეთი.

2. გამოიყოს 1941 წელს 200 სატვირთო ავტომანქანა ქართლის რაიონების კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად.

3. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს კაპიტალური მშენებლობის გეგმაში 1941 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მეხილეობა-მებოსტნეობის ტექნიკუმის შენობის აგება ქ. გორში, 1.200 ათასი მანეთის ღირებულებისა, და მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობის აგება, 1,5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

4. დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს განაცხადი და საჭირო რაოდენობით გამოუყოს საქართველოს სსრ მიწსახკომს და კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს ბულებისა, ხოლო გორის რაიონში მდინარე ლიახვზე, 1,5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს გაითვალისწინონ კაპიტალურ სამუშაოთა 1941 წლის გეგმაში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის ხაზით 2 მილიონი მანეთი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, აგრეთვე ასიგნობანი საბჭოთა მეურნეობების 25 კილომეტრის საერთო სიგრძის შიდა გზებისა და მისასვლელი გზების გასაყვანად.

XII. გადამმუშავებელი მრეწველობის დარგში

ხილისა და ყურძნის გადამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატს, სსრ კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატს, „ცენტროსოიუზს“, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაანახორციელონ 1941-1945 წ. წ. შემდეგი ღონისძიებანი:

1. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით:

აშენდეს 1941-1945 წ. წ.

ხილბოსტნეულის შესაფუთავი 8 ქარხანა, თვითეული 3.000 ტონა ხილისა და 2.000 ტონა ბოსტნეულის გამტარუნარიანობისა,

6 ტიპიური დამამზადებელი პუნქტი,

ტარის 1 ქარხანა ქ. გორში,

20 ტიპიური მარანი, შამპანური ღვინოების 800.000 დეკალიტრი ნედლეულის გადამუშავების სიმძლავრისა,

გაფართოვდეს გორის საკონსერვო ქარხანა, მისი სიმძლავრის წელიწადში მზა პროდუქციის 15 მილიონ პირობითს ქილამდე აყვანით.

2. სსრ კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ხაზით:

აშენდეს 1941-1943 წ. წ.:

ხილბოსტნეულის შესაფუთავი 1 ქარხანა, 3.000 ტონა ხილისა და 2.000 ტონა ბოსტნეულის სიმძლავრისა,

4 ტიპიური დამამზადებელი პუნქტი,

ხილბოსტნეულის კომბინატი ქ. თბილისში, 5 მილიონი მანეთის ღირებულებისა.

3. „ცენტროსოიუზის“ ხაზით:

აშენდეს 1941-1945 წ. წ. ხილბოსტნეულის შესაფუთავი ქარხანა 3.000 ტონა ხილის და 2.000 ტონა ბოსტნეულის სიმძლავრისა და 4 ტიპიური დამამზადებელი პუნქტი.

4. განისაზღვროს ქართლის რაიონებში ხილის გადამმუშავებელი მრეწველობის მშენებლობისათვის დანახარჯების საერთო მოცულობა 1941-1945 წ. წ. 40 მილიონი მანეთის რაოდენობით კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შემდეგი განაწილებით ორგანიზაციებსა და წლებზე:

(ათას მან.)

	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.	1945 წ.	სულ
სსრკ კვებ. მრეწვ. სახ. კომ. საქკონსერვხილბოსტნეულტრესტი	2.000	2.700	4.900	3.400	2.100	15.100
საქ. სსრ კვებ. მრეწვ. სახ. კომ. სამტრესტი	1.000	2.500	2.000	500	—	6.000
სსრკ კვებ. მრეწვ. სახ. კომ. შამპანური ღვინოების კომბინატი	2.550	1.000	1.300	2.000	550	7.400
საქ. სსრ ვაჭრ. სახ. კომ. თბილხილბოსტანვაჭრობა	1.350	2.200	2.100	2.100	1.250	9.000
ცეკავშირი	100	1.100	1.200	—	100	2.500
სულ	7.000	9.500	11.500	8.000	4.000	40.000

5. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს გადასინჯოს საქართველოს სს რესპუბლიკაში ხილის დამზადების ფასები მათი გადიდების მიმართულებით, განსაკუთრებით ხარისხოვან ჯიშებზე.

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და „ცენტროსოიუზს“ გაითვალისწინონ წლიურ და კვარტალურ გეგმებში 1941-1945 წლებისათვის საქ. სსრ სახკომსაბჭოს განაცხადებით, მასალებისა და მოწყობილობის ყველა საჭირო ცენტრალიზებული ფონდები წყალთა-სამეურნეო სამუშაოებისათვის, სასოფლო ჰიდროელსადგურთა, წყალსადენთა და ხილის გადამმუშავებელ საწარმოთა მშენებლობისათვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესასრულებლად.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, რიატს ქართლის რაიონების მტს-ებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა, აგრეთვე მინერალური სასუქები და შხამმასალები ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1940 წ. 15 ოქტომბერი

ვრცელ „საქნავთის“ ბურღვის კანტორის კოლექტივს სრულიად-საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ი. სედინმა ტრესტ „საქნავთის“ წარმატებითი მუშაობა აღნიშნა. მეორე კვარტალში ბურღვის კანტორის კოლექტივმა, გეგმით გათვალისწინებული 8.292 მეტრის ნაცვლად, 11.829 მეტრი გაბურღა, რაც 142,7 პროცენტს შეადგენს. გათხრის სიჩქარე 45 პროცენტით არის გადიდებული. მეორე კვარტალის 3 თვის განმავლობაში, გეგმით გათვალისწინებული 8 ჭაბურღილის ნაცვლად, 12 ჭაბურღილის გაბურღვა დამთავრდა. ბურღვის თვითღირებულება შემცირებულია 16,5 პროცენტით. მეორე კვარტალში ბურღვის კანტორის სტახანოველთა რაოდენობა 61,2 პროცენტით გაიზარდა.

ტრესტ „საქნავთის“ წითელწყაროს ბურღვის კანტორას სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ნავთის მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

სახალხო კომისრის ბრძანებით აღნიშნულია ის წარმატებანი, რომლებსაც ტრესტ „საქნავთის“ მოწინავე სტახანოველებმა მიაღწიეს.

საკ. კ. პ. (ბ) წევრმა, მბურღავმა ვ. მჭედლიშვილმა ბურღვის დიდ სიჩქარეს მიაღწია. მან 654 მეტრი გაბურღა. ამხ. მჭედლიშვილი წარმოებაში მუშაობას წარმატებით ათავსებს საზოგადოებრივ მუშაობასთან. იგი ტრესტ „საქნავთის“ კომკავშირის კომიტეტის წევრია და არჩეულია კომკავშირის წითელწყაროს რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში.

ბ. შალხოშვილი № 110 ჭაბურღილის უფროსია. ბურღვის სიჩქარის დარგში გეგმით გათვალისწინებული დ

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

საქართველოდან სტუმრების მოღოდინში

კიევი, 18 ოქტომბერი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.**). ლოზუნგით: „მოვიპოვოთ უფლება ჩვენს საწარმოში საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მოწვევისა“ მიმდინარეობს კოლმეურნეობების, მაღაროების, შახტების, შეჯიბრება აყვავებულ უკრაინაში, რომელიც მომავე საქართველოდან ელის ძვირფას სტუმრებს ოქტომბრის წლისთავისათვის. აზვირთდა ახალი ტალღა სოციალისტური შეჯიბრებისა გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში საუკეთესო წარმატებების მისაღწევად. ცენტრალური პრესის ფურცლებზე იწყეს გამოსვლა ჩვენს საწარმოებთან შეჯიბრებაში ჩაბმულმა საწარმოებმა, რომლებიც მოგვითხრობენ თავიანთი მიღწევების შესახებ.

დღეს უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო „კომუნისტში“ დაბეჭდილია მარგანეცის ბასეინის (ნიკოპოლი) მაღაროელთა წერილი ჰიათურის მაღაროელებისადმი.

„უკვე შვიდი თვეა,—სწერენ ისინი,—რაც ჩვენთან იყო ჰიათურელ მაღაროელთა დელეგაცია. ძვირფასი სტუმრების აქ ყოფნამ ჩვენი კოლექტივის დიდი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. მაშინ თქვენ გამარჯვებული იყავით. გავიდა დრო, და ახლა მოხარული ვართ გაუწყოთ, რომ საქმე ჩვენშიც კარგად წავიდა. გამოეხმაურა რა კრიკვოი როგის წარჩინებული მბურღავის ალექსი სემიოლოსის თაოსნობას, რომელმაც პირველმა გვიჩვენა მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები, ბევრმა მაღაროელმა უკეთესად დაიწყო მუშაობა სანგრეგებში, საწარმოო გეგმის დიდი გადამეტებით შესრულება. სტახანოველები დაეუფლნენ სემიოლოსის მეთოდს. მათ შორის პირველი იყო კონსტანტინე კომლეცკი, რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული ქართველ სტახანოველ ორდენოსან პლატონ ბოყოველთან. კომლეცკის შემდეგ სემიოლოსის მეთოდზე გადავიდნენ № 5 შახტის სტახანოველები ტარანი, ბოდოვი და სხვ. მათ მიჰყვა მრავალი მაღაროელი-მბურღავი, მბურღავი, მებიგე. სექტემბერში ბასეინში გეგმა შესრულდა 100,4 პროცენტით. ცალკეული მაღაროები უფრო უკეთესად მუშაობენ. ვოროშილოვის სახელობის მაღაროს, რომლის კოლექტივიც ჩაბმულია შეჯიბრებაში ჭიათურის ვოროშილოვის სახელობის მაღაროსთან, სექტემბრის დავალება შეასრულა 109,5 პროცენტით. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მაღაროელებმა მოახდინეს ლიკვიდაცია მესამე კვარტალის პირველი თვის დავალიანებისა სახელმწიფოს წინაშე.

ამჟამად ჩვენი მაღაროელები ემზადებიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის 23 წლისთავს, ღირსეულად აღნიშნონ ძვირფასი ძმების ჩამოსვლა მზიური საქართველოდან. მნგრეველები და მბურღავები იძლევიან მუშაობის ახალ საუკეთესო ნიმუშებს.

ქალაქი მარგანეცი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ქალაქია. ეს ქალაქი ალნიშნული არ არის ძველ რუკებზე, ვინაიდან იგი გაიზარდა დიდი ოქტომბრის შემდეგ, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში.

ამჟამად ჩვენს ქალაქში ასობით არის დიდი საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც მაღაროელები ცხოვრობენ, არის საუცხოო კლუბი და თეატრები, საავადმყოფო, კულტურის პარკი. ქალაქი სწრაფად იზრდება და მშვენიერდება. ოქტომბრის დღესასწაულისათვის დამთავრდება მშენებლობა ორი საცხოვრებელი სახლისა და სპეციალისტებისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! სულით და გულით გთხოვთ გვესტუმროთ და მიიღოთ ცხოველი მონაწილეობა ოქტომბრის ზეიმში. ჩვენ შევამოწმებთ შეჯიბრების ხელშეკრულებებს, გავეცნობით გეგმების შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეთა გამრავლებისათვის ჩვენი საერთო ბრძოლის შედეგებს.

ჩვენ მზად ვართ შეგხვდეთ როგორც უძვირფასეს სტუმრებს. თქვენი ჩამოსვლა იქნება ორი ბასეინის მაღაროელთა მეგობრობის ახალი დემონსტრაცია, ხალხთა სტალინური მეგობრობის დემონსტრაცია.

მარგანეცის ბასეინის მაღაროელთა დავალებით: მარგანეცის ტრესტის მმართველი ნოვიკოვი, უკრაინის კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანი ჩერნენკო, ვოროშილოვის სახელობის მაღარკომის თავმჯდომარე ჩუმაჩენკო, № 13-14 შახტის გამგე პრიხოდჩენკო, სამთო ოსტატი, დურგალი და სტახანოველები—კოშელეცკი, ორლენკო, ბოხდარენკო და ვინიკი“.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე კამენეც-პოდოლსკის ოლქის ჩემეროვცის რაიონის ძერჟინსკის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის სტახანოველი კოლმეურნე ქალის ოდარლი ზადოიანჩუკის წერილი.

„დიდი სიხარული და ბედნიერება განვიცადე,—სწერს ზადოიანჩუკი, — როდესაც 1938 წელს ვიყავი თბილისში და დიდი ბელადის სამშობლო ქალაქ გორში. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გავეცანი და დავუმეგობრდი ჩაის პლანტაციის რგოლის ხელმძღვანელს ზინა კაჭარავას. მეც რგოლის ხელმძღვანელი ვარ და ჩვენი ინტერესები ურთიერთისათვის გასაგებია“. შემდეგ ზადოიანჩუკს სურს აცნობოს ზინას თავისი მუშაობის მაჩვენებლები. წელს შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი იყო. რგოლმა ჰექტარზე აიღო 400 ცენტნერი ჭარხალი, 60 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. „შაქრის ჭარხლის ამოღებას ვამთავრებთ. რა მოხარული ვიქნებოდი, რომ სტუმრები ჩვენს კოლმეურნეობასაც ეწვიონ“, — ამთავრებს წერილს ზადოიანჩუკი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 95 წლისთავი

21 ოქტომბერს 95 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა საქართველოს XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი პოეტი, ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება დიდი ხანია იპყრობდა საქართველოს ლიტერატურისმცოდნეთა ყურადღებას, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ფართოდ გაჩაღებულიყო მუშაობა პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და იმ წრის შესასწავლად, რომელშიაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ცხოვრობდა და მუშაობდა.

ამ მხრივ დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმი.

მუზეუმის დირექტორი ამხ. გიორგი ლეონიძე სწერს დიდ შრომას ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, სადაც ყოველმხრივ იქნება გაშუქებული პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. გ. ლეონიძემ აღმოაჩინა დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი, რომელშიც აღწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება. მანვე აღადგინა პოეტის მეგობრების — ზაქარია ორბელიანის, ლევან მელიქიშვილისა და ილია ორბელიანის პორტრეტები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე მუშაობს ლიტერატურისმცოდნე დოც. გ. აბზიანიძე. მიმოხილვაში „ლექსის „ქეთევანის“ გენეზისი“ გ. აბზიანიძე ახალ ცნობებს აქვეყნებს პოეტის ბიოგრაფიიდან. გამორკვეულია, რომ ლექსი „ქეთევან“ მიძღვნილია ქეთევან ერისთავისადმი, რომელიც პოეტს უყვარდა და რომელიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მიათხოვეს დიდ ფეოდალს ელიზბარ ერისთავს. მეორე მიმოხილვაში „ყაფლან ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი“ — ავტორი ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი დოკუმენტების საფუძველზე გვიხატავს პოეტის მეგობრის ყაფლან ორბელიანის კოლორიტულ ფიგურას.

მუზეუმის დავალებით ამხ. მ. თუმანოვმა შეადგინა ვრცელი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი—„ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები“, აგრეთვე მონოგრაფია — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების უკანასკნელი წლები“.

საქართველოს სალიტერატურო მუზეუმმა შეაგროვა მდიდარი მასალა, რომელიც ახასიათებს იმ ეპოქას და წრეს, რომელშიაც პოეტი ცხოვრობდა, აგრეთვე მასალები მისი ნათესავებისა და მეგობრების შესახებ. მუზეუმი გამოსაცემად ამზადებს წიგნს, სადაც მოცემული იქნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის საზოგადო მოღვაწეთა და გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრების აღწერა. (საქდესი).

ახალი კრებული „ღიმღრაჟული მაჯიანე“

მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ

ამ დღეებში გამოვა საქართველოს სახელმწიფო სალიტერატურო მუზეუმის კრებული „ლიტერატურული მატიანე“, რომელიც უმთავრესად მიძღვნილია პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 95 წლისთავისადმი.

კრებულში მოთავსებულია გ. ლეონიძის, დოც. გ. აბზიანიძის, ს. ცაიშვილის, ი. ენიკოლოფოვისა და მ. ხელოუბნელის მიმოხილვები და სტატიები, რომლებიც ეხებიან ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიას და შემოქმედებას.

კრებულში მოთავსებული სამეშვარო ლიტერატურიდან ყურადღებას იპყრობს ვასილ ბარნოვის მოგონებანი, ეკატერინე გაბაშვილის, ანასტასია ერისთავ-ზოშტარიასი და საგურამოელი გლეხების მოგონებანი იალია ჭაჭავაძის შესახებ და შიო მღვიმელის მოგონებანი იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

კრებულის ერთი განყოფილება მიძღვნილია პოეტ ვაჟა-ფშაველასადმი. გარდა მოგონებებისა პოეტის შესახებ, განყოფილებაში მოთავსებულია ძვირფასი მასალა „ვაჟა-ფშაველას სახე ხალხურ პოეზიაში“.

კრებულში პირველად არის გამოქვეყნებული იონა მეუნარგიას ხელნაწერი „ჩვიდო ორბელიანის ცხოვრება და დამსახურება“; ეს ხელნაწერი ამას წინათ აღმოაჩინეს.

დიდად საინტერესოა დოც. გ. აბზიანიძის მიმოხილვა „ილია ჭავჭავაძის უცნობი ესთეტიკური ფრაგმენტები“, რომელიც უშუალოდ ეხება ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებებს.

კრებულის უკანასკნელ განყოფილებაში გამოქვეყნებულია ა. დიუმას (მამის) ერთერთი წერილის ავტოგრაფი, მაქსიმ გორკის წერილები კალიტნისადმი, მაქსიმ გორკის თბილისელ მეგობართა და ნაცნობთა მოგონებანი დიდი პროლეტარული მწერლის თბილისში ყოფნის შესახებ და ა. ნიკოლაძის სტატია „გორკი თბილისში“, გ. ნათაძის სტატია ქართველ მწერლებთან დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ურთიერთობის შესახებ.

კრებულის რედაქტორია ორდენოსანი პოეტი გ. ლეონიძე, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი—დოც. გ. აბზიანიძე. (საქდესი).

სოხუმის რაიონის გულრიპშის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. ახვაგუშ ტოპოლიანი ტუნგოს ახალი მოსავლის ნაყოფთან. ამხ. ტოპოლიანი ყოველდღიურ ნორმას სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ტოლმაჩევისა.

თესვის გეგმების შესრულება

წითელწყაროს („კომუნისტის“ კორ.). წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაშალა წინასაოქტომბრო შეჯიბრება. შეჯიბრების შედეგად წითელწყაროს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ 17 ოქტომბრისათვის, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450 ჰექტარისა, საშემოდგომოდ, მარცვლეული კულტურები დათესა 460 ჰექტარზე. კოლმეურნეობას ვალდებულებად აქვს აღებული გეგმის ზევით დათესოს 60 ჰექტარი ხორბალი და 10 ჰექტარი ქერი, 7 ნოემბრამდე შეასრულოს მძრალად ხვნის გეგმა.

საშემოდგომო თესვა დაამთავრა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც აიღო ვალდებულება გადამეტებით დათესოს 15 ჰექტარი ხორბალი.

საჩხერე, 19 ოქტომბერი (**ტელეგრაფით**). საჩხერის რაიონმა საშემოდგომო კულტურების თესვა ვადაზე 7 დღით ადრე შეასრულა. 1885 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 1934 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

მახარაძელი კოლმეურნეები უკრაინაში

კიევი, 19 ოქტომბერი (**ტელეგრაფით სპეც. კორ.**) ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობაში რამდენიმე დღეა რაც სტუმრად არიან მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. მიმდინარეობს ხელშეკრულების შესრულების შემოწმება. გენიჩესკის რაიონმა, რომელიც ოლქში მოწინავედ ითვლება, მინდვრის სამუშაოთა მოწესრიგებით, წელსაც მაღალი მოსავალი მიიღო და უკვე დამტკიცებულია 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად, სტალინის სახ. კოლმეურნეობა კი ფართო ჩვენებით.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა გადასწყვიტეს საქართველოს მშრომელთა დელეგაციის ჩამოსვლა აღნიშნონ მინდვრის ყველა სამუშაოს დამთავრებით. კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა მძრავად ხვნა და შეუდგა შემოდგომის ანეულის ხვნას. ამ დღეებში კოლმეურნეობამ იზეიმა თავისი არსებობის 20 წლისთავი.

მახარაძელები ეცნობოდნენ კოლმეურნეობის მიღწევებს, მისი საუკეთესო სტახანოველების მუშაობის მეთოდებს. გამოანგარიშებულია, რომ მეცხოველეობის 6 ფერმა კოლმეურნეობას წელს მისცემს 2 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს. საუკეთესო მწველავმა ქალმა, ორდენოსანმა ანა მიკიტენკომ ჩვენს კოლმეურნეებს უამბო, თუ როგორ მიაღწია თვითეულ საფურაძე ძროხაზე 9 თვის განმავლობაში 5 ათასი ლიტრა რძის მიღებას.

მახარაძელები აგრეთვე ეცნობიან სტახანოვური სკოლის მოწყობის გამოცდილებას მეზობელ, ბუდიონის სახ. კოლმეურნეობაში. სწავლება ამ სკოლაში რეგულარულად მიმდინარეობს. მასწავლებლებად გამოყოფილი არიან საუკეთესო სტახანოველები.

ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის პარტორგმა ტიშჩენკომ კოლმეურნეებს უამბო, თუ როგორ ხორციელდება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შრომითი რეზერვების შესახებ. ამ კოლმეურნეობაში ბევრმა ახალგაზრდამ განაცხადა სურვილი რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლებში და საფაბრიკო-სახარხნო სწავლების სკოლებში სწავლის შესახებ. განსაკუთრებით ყველაზე უწინ შეიტანეს კომკავშირელებმა ალექსი ომელჩენკომ, ანატოლი პივენმა, კონონმა და სახნომ.

მახარაძელები აგრეთვე ეცნობიან ნოვოალექსეევკის მტს-ის მუშაობას, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თელავის მტს-თან. ამ მტს-მა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. თვითეულმა ტრაქტორმა დაამუშავა 700 ჰექტარი ფართობი და გააკეთა 34.000 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია. ამ საკითხის მომსახურების კოლმეურნეობებში საშუალო მოსავალი ჰექტარზე უდრის 123 ფუთ მარცვლეულს.

საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სადგურის სარემონტო სახელოსნოების მუშებმა დაივალეს 30 ტრაქტორის შეკეთება. ეს დავალება მათ უკვე შეასრულეს.

სტახანოველი ხელოსნები პონომარენკო, კრავჩენკო გამომუშავების ნორმებს 150-180 პროცენტით ასრულებენ. მახარაძელები აღფრთოვანებული არიან მათთან შეჯიბრებაში მყოფი კოლმეურნეების სამაგალითო მუშაობით.

○

საქართველოს მაღაროელებთან შეჯიბრებაში დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს დონბასის მაღაროელებმა. ქვანახშირის ამოღების ოქტომბრის ორი კვირის გეგმა მათ მიერ შესრულებულია. დონბასის შახტებს შორის პირველი ადგილი უჭირავს კომბინატ „სტალინუგოლს“, რომელმაც გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა. კომბინატის 8 ტრესტმა გეგმა ვადამდე შეასრულა. მათ შორის ყველაზე მოწინავეა „ორჯონიკიძეუგოლი“, რომელიც ეჯიბრება ტყიბულ-ტყვარჩელს.

სტუმრების ჩასვლა მაღაროელებმა გადასწყვიტეს აღნიშნონ მეოთხე კვარტალის გეგმის 28 დეკემბრისათვის შესრულებით.

გ. აბულაძე.

ანგისემიტური კანონი საფრანგეთში

ლიონი, 19 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის საგენტო იუწყება, რომ გუშინ ვიშში გამოქვეყნდა „გერმოწოდებული „ებრაული სტატუტი“. ამ კანონის თანახმად, საფრანგეთში ებრაელად ითვლება ყველა ის პირი, ვისაც სამ თაობაში ჰყავს პირდაპირი ნათესავი ებრაელი ან რომელსაც ასეთი ნათესავი ორ თაობაში ჰყავს და ცოლი (ან ქმარი) ებრაელი ჰყავს. ებრაელებს ეკრძალებათ ყველა უმაღლესი თანამდებობის დაკავება სმინისტრაციულ და მთავრობის დაწესებულებებში. მათ არ შეუძლიათ იყვნენ მასწავლებელი და ოფიცერი და არ შეუძლიათ დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობა საწარმოებში, რომლებიც სახელმწიფოს სუბსიდიებით სარგებლობენ. სხვა საზოგადოებრივი თანამდებობის დაკავება ებრაელს ნება დართული აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს 1914 წლის ომის მონაწილეობის პრიოთა ან თუ იგი ბრძანებით აღნიშნულ იქნა 1939-40 წლის საომარი მოქმედების დროს, დაჯილდოებულია „საპატიო ლეგიონის“ ორდენით ან სამხედრო მედლით. თავისუფალი პროფესიების დაკავება ებრაელს ნება დართული აქვს, თუ კი მათთვის დაწესებული არ იქნება პროცენტული შეზღუდვა. ებრაელს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია იყოს გაზეთის, ჟურნალისა და სააგენტოების გამომცემელი ან რედაქტორი, გარდა სამეცნიერო ხასიათის გამოცემათა, არ შეუძლიათ იყვნენ კინემატოგრაფიული ფირმების, თეატრებისა და კინოთეატრების დირექტორი, რეჟისორი, რადიოგადაცემათა მმართველი. ებრაელს არ შეუძლია იმ ორგანიზაციებში სამსახურს, რომლებსაც დავალებული აქვთ თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლობა. სახელმწიფო სამსახურში მყოფ ებრაელებმა, რომლებსაც ამ კანონის მოქმედება შეეხებათ, უნდა შესწყვიტონ მუშაობა „ებრაული სტატუტის“ გამოცემიდან ორი თვის გასვლის შემდეგ. იმ ებრაელებს, რომელთაც ლიტერატურულ, სამეცნიერო და მხატვრული მოღვაწეობის დარგში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით, შესაძლებელია გამონაკლისი მიეცეთ. გადასწყდა გამოქვეყნებული „ებრაული სტატუტი“ შეფარდებულ იქნას როგორც საფრანგეთში, ისე ყველა კოლონიაში.

პავიმგრობა ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის

ტავტიმანოვსკის კერამიკა-სამალე ქარხანამ (ბაშკირეთის ასსრ) 1940 წ. 16 ივლისს თავის დამკვეთლებს გაუგზავნა 1.744 კერამიკული წყალსაკანალიზაციო მილები. ამ მილების ნახევარი ცუდი ხარისხისა აღმოჩნდა. მილები გაგზავნილ იქნა ქარხნის დირექტორის მოვალეობის აღმსრულებლის, მთავარი ინჟინრის გ. ლ. კურგანის განკარგულებით, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური კონტროლის განყოფილება ამის წინააღმდეგ იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ გ. ლ. კურგანის განკარგულებით კვლავ გაიგზავნა ცუდი ხარისხის მილების პარტია.

რსფსრ პროკურატურამ კურგანი სამართალში მისცა 1940 წ. 10 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად. ბაშკირეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ კურგანს 5 წლის პატიმრობა მიუსაჯა. რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი დატკიცა. (საკდესი).

ინგლის-გერმანიის ომი

საომარი ოპერაციები ზღვაში

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება: „17 ოქტომბერს ღამით გერმანიის სატორპედო კატარღების ოპერაციების დროს ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩაძირულია მოწინააღმდეგის ორი შეიარაღებული სავაჭრო გემი და ორი ტანკერი 33 ათასი ტონა წყალწყვისა“.

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ამას წინათ მოწინააღმდეგემ ჩასძირა 14 ტალღური და დრიფტერი.

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ნორვეგიის სანაპიროსთან ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებმა ჩასძირეს გერმანიის პატარა დამხმარე გემი.

იუწყებიან აგრეთვე, რომ გუშინ ინგლისის სანაპიროს ახლოს გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს და გაჰფატეს მტრის გემების დიდი ქარავანი.

არჭიღერიის დუელი ღა-მანშის სრუტეში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 18 ოქტომბერს გარიჟრაჟზე ინგლისის სანაპირო არტილერიამ სროლა აუტეხა საფრანგეთის სანაპიროს. ნაშუადღევს გერმანიის ბატარიებმა, რომლებიც ლამანშის სრუტის სანაპიროზეა დადგმული, სროლა აუტეხეს დუვრის რაიონს. ნახევარი საათის შემდეგ გერმანიის არტილერიამ კვლავ დაიწყო სროლა.

მდგომარეობა ლონდონში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ამჟამად ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ მთავრობა ლონდონიდან გავიდეს. ამასთან ერთად, ლონდონზე თავდასხმის დაწყებიდანვე შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტრო იმ თვალსაზრისს ადგა, რომ, რაც უფრო მეტი მცხოვრები შესძლებს ლონდონის დატოვებას საქმიანი ცხოვრების დაურღვევლად, მით უკეთესია. სამინისტროს ეს თვალსაზრისი უცვლელი რჩება. მაგრამ ამჟამად საჭირო არ არის ლონდონიდან მოსახლეობის იძულებითს ევაკუაციას მივმართოთ.

მსხვერპლი ინგლისის სამოქალაქო მოსახლეობაში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობები სექტემბრის განმავლობაში ბომბარდირებით სამოქალაქო მოსახლეობაში გამოწვეული მსხვერპლის რაოდენობის შესახებ. სულ სექტემბერში მოკლულია 6.954 და მძიმედ დაჭრილია 10.615 კაცი.

ინგლისის საჰაერო თავდაცვის მუშაობა

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). „ნიუს ქრონიკლი“ ასწერს სამეთვალყურეო საგუშაგოების მუშაობას, რომლებიც ცნობებს იძლევიან გერმანიის თვითმფრინავების მოძრაობის შესახებ, როცა მათ იერიში მოაქვთ ინგლისზე. მთელი ინგლისი 50 რაიონად არის დაყოფილი. თვითეულ რაიონს საჰაერო თავდაცვის სამეთვალყურეო სამსახურის საკუთარი შტაბი ჰყავს. საგუშაგოებს მომსახურებას უწევს თითქმის 50 ათასი კაცი, რომელნიც მთელი დღე-ღამეების განმავლობაში განუწყვეტლივ მეთვალყურეობენ. გამანადგურებელი ავიაციის მოქმედება, აერგადამრბობი აეროსტატების ასვლის სიმაღლე, აგრეთვე საპროჟექტორო დანადგარებისა და საზენიტო ბატარიების მუშაობა იმ ცნობებზეა დაფუძნებული, რომლებსაც სამეთვალყურეო საგუშაგოები გადასცემენ. ეს საგუშაგოები ყველგან არის მოწყობილი. მეთვალყურენი უმარტივესი ხელსაწყოების საშუალებით განსაზღვრავენ იმ სიმაღლეს, რომელზედაც ჩასძირა 14 ტალღური და დრიფტერი.

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ნორვეგიის სანაპიროსთან ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებმა ჩასძირეს გერმანიის პატარა დამხმარე გემი.

იუწყებიან აგრეთვე, რომ გუშინ ინგლისის სანაპიროს ახლოს გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს და გაჰფატეს მტრის გემების დიდი ქარავანი.

ინგლისის ავიაციის მოქმედების ახალი სქემები

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფენდ მორნინგ პოსტი“ კვლავ ამტკიცებს, რომ ინგლისზე გერმანიის ავიაციის ღამე თავდასხმის პირობები უფრო და უფრო ნაკლებ ხელსაყრელი ხდება. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის ხელისუფლებამ ავიაციის მოქმედების ახალი სქემები შეიმუშავა, რომლებსაც სასტიკი საიდუმლოებით ინახავენ. როგორც ფიქრობენ, ეს სქემები გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნება.

ინგლისი უარკყოფს

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია იმ საზღვაო ბრძოლის შესახებ, რომელიც გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებსა და მათთან შედარებით უფრო ძლიერ ინგლისის ესკადრას შორის მოხდა. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის სამხედრო-საზღვაო წრეები აცხადებენ, რომ გუშინ ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებს ხანმოკლე შეტაკება ჰქონდათ გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებთან. როგორც ფიქრობენ, უახლოეს ხანში ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდება ამ შეტაკების შესახებ. მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ზემდეტია ლაპარაკი რაიმე საზღვაო ბრძოლაზე. სინამდვილეს არ შეეფერება აგრეთვე გერმანიის მტკიცება, რომ ეს ბრძოლა ბრისტოლის ყურეში მოხდა. იმ ფაქტს გარდა, რომ შეტაკებაში საესკადრო ნაღმოსნებმა მიიღეს მონაწილეობა, გერმანიის მთელს დანარჩენ მტკიცებას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. არსებული ცნობების მიხედვით, გერმანიის საესკადრო ნაღმოსნები დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ ბრესტისაკენ, როგორც კი შეამჩნიეს ინგლისის ესკადრა. თუმცა მოსალოდნელი იყო, მაგრამ ინგლისის გემებისათვის თვითმფრინავებს ყუმბარები არ დაუშენიათ. ინგლისის თვითმფრინავები გამოეკიდნენ გერმანიის გემებს, რომლებიც უკან იხევდნენ. „მოგონილი ამბავია აგრეთვე გერმანიის მტკიცება ინგლისის გემის ტორპედირების შესახებ“.

ინგლისის მოსახლეობა საიმედო ყუმბარსაფარებს მოითხოვს

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). მანჩესტერის მუნიციპალიტეტის წევრი სუენი, რომელიც კომუნისტური გაზეთის „დეილი უორკერის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად ითვლება, პოლიციამ მუნიციპალიტეტის დარბაზიდან გაიყვანა, როცა სუენი შეეცადა გამოსულიყო იმ დელეგაციის დასაცავად, რომელიც საომედო ყუმბარსაფარებს მოითხოვდა. 100 დედა, რომელიც დელეგაციას ახლდა, არ შეუშვეს ხალხისათვის განკუთვნილ ადგილებზე. მაშინ დელეგაცია, რომელიც შედგენილი იყო ქალთა და ბავშვთა დაცვის ნაციონალური საბჭოს მიერ, უახლოეს თავშესაფარში გაემართა, სადაც წარმომადგენლები დანიშნა მუნიციპალიტეტის წევრებთან მოსალაპარაკებლად. მუნიციპალიტეტის წევრებმა უარი განაცხადეს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ამის შემდეგ დელეგაციამ საჰაერო თავდაცვის კოორდინაციის კომიტეტი აირჩია მთელი რაიონისათვის.

მანჩესტერში დაიწყო დიფტერიის ძლიერი ეპიდემია, რომელიც, ალბათ, გამოწვეულია საზოგადოებრივ ყუმბარსაფარებში არსებული საშინელი პირობებით.

მაკდონალდის გამოსვლა

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ თემთა პალატაში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ სამინისტრომ სამრეწველო ქალაქებიდან 720.000 ბავშვი და 419.100 დედა გაიყვანა სოფლად. სასკოლო ასაკის ლონდონელ ბავშვთა დაახლოებით 56 პროცენტი გაგზავნილია სოფლებში. ყოველდღიურად რამდენიმე ათასი დედა გაჰყავთ დედაქალაქიდან თავიანთი ბავშვებიანად. ლონდონიდან გაჰყავთ აგრეთვე ასობით ორმად მოხუცი მცხოვრებნი. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თავშესაფრებში ისეთი პირობების შექმნა, რომ მოსახლეობას მიერ გამოიძინოს და დღისით მუშაობას შეუდგეს. მაკდონალდმა ქებით მოიხსენია სანიტართა და სანიტარ ქალთა მუშაობა, რომელნიც ხშირად პირველ დახმარებას მტრის ტყვიის ზუზუნში უწევენ. მან აღნიშნა, რომ, თავდასხმის მასშტაბთან შედარებით, ბომბარდირების მსხვერპლი უმნიშვნელოა. ამ თვეში ჰოსპიტლებში სულ 5.500 საწოლი იყო დაკავებული. მაგრამ,—თქვა მაკდონალდმა, — გონივრული არ იქნებოდა დამშვიდება და იმის ფიქრი, რომ საჰაერო თავდასხმის მსხვერპლის რაოდენობა არ შეიძლება გადიდდეს.

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რუზველტმა მიმართვა გაუგზავნა კონგრესს, სადაც აცხადებს, რომ კონტინენტის თავდაცვის პროგრამის განსახორციელებლად მან 1 მილიონი დოლარი გადასდო წმინდა ლავრენტის მდინარის ზოგიერთი უბნის წინასწარი გამოკვლევისათვის, სადაც უნდა მომზადდეს დამატებითი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. რუზველტი აღნიშნავს, რომ ეს ამჟამად მეტად საჭიროა ამერიკისა და კანადის თავდაცვის თვალსაზრისით. შესაფერ ადგილას ასეთი ელექტროსადგურის აშენება ხელს შეუწყობს სამხედრო მრეწველობის ზოგიერთი დარგის გაფართოებას. ფირმა „ალუმინიუმ კომპანი ოფ ამერიკა“ უკვე შეუთანხმდა კანადას იმის შესახებ, რომ მის საწარმოებს ელექტროენერგია კანადიდან გადაეცეს. ონტარიოს პროვინცია, — აღნიშნავს შემდეგ რუზველტი, — მოითხოვს, რომ ელექტროენერგია ახალი ელექტროსადგურიდან მასაც გადაეცეს.

საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს

ათენი, 18 ოქტომბერი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს იუგოსლავიის გაზეთ „ვრემეს“ ცნობას იმის შესახებ, რომ საბერძნეთში აუცილებელია პოლიტიკური ცვლილება.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მთავრობის მდგომარეობა მტკიცეა. მეორე უარყოფაში სააგენტო აცხადებს: „ამერიკული წყაროდან მიღებული ცნობა, რომელიც გაიმეორა ესპანეთისა და საფრანგეთის ზოგიერთმა გაზეთმა და შეიცვალა იმას, რომ საბერძნეთის მეფემ გეორგმა თითქოს უარი თქვა ტახტზე მემკვიდრე პრინც პავლეს სასარგებლოდ, ფანტაზიაა, და ჩვენ დავალებული გვაქვს ოფიციალურად უარვყოთ ეს ცნობა“.

კოლუმბის პრეზენზია ქოქუსის კუნძულის მიმართ

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, კოლუმბია პრეტენზიას აცხადებს ქოქუსის კუნძულზე, რომელიც კოსტარიკას ეკუთვნის. ამას წინათ კოსტარიკამ ამერიკის შეერთებულ შტატებს წინადადებით მიმართა— იჯარით აიღოს ეს კუნძული და შეჰქმნას იქ საზღვაო ბაზა, რომელიც პანამის არხს წყნარი ოკეანის მხრიდან დაიცავს. კოლუმბიის ოფიციალური წრეების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კოლუმბიასთან უნდა გამართონ მოლაპარაკება, თუ მათ სურთ ეს კუნძული იჯარით მიიღონ.

რეიხერის სააგენტო აურიკის ჭრონვზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო შემდეგს ცნობას გადმოგვცემს კაიროდან: „ახლა მარშალ გრაციანის არმია სანგრებს სთხრის. სანგრები ამჟამად ცარიელია ძლიერი წვიმის გამო. მაგრამ ამ უხერხულობას ის ანაზღაურებს, რომ იტალიელების მიერ ამას წინათ ამოღებული ქვები ახლა საკმაოდ აივსო წყლით. ინგლისისა და იტალიის არმიები პირისპირ დგანან უდაბნოში მრავალი კილომეტრის მანძილზე. ინგლისის ჯარი დამაკმაყოფილებლად მარაგდება, ვინაიდან ინგლისის საკომუნიკაციო ხაზები ძალიან გაჭიმული არ არის. ამ რაიონში იერიშის მიტანა მხოლოდ ფრონტიდან შეიძლება, ვინაიდან ორივე არმიის ფრთები დაფარულია დასავლეთ უდაბნოს ციცაბო კლდეებით. ინგლისის არმიას, რომელსაც მოკლე საკომუნიკაციო ხაზები და კარგად მომზადებული მეწინავე და ზურგის პოზიციები აქვს, თუ საჭირო იქნება, შეუძლია მთელი ზამთრის განმავლობაში დარჩეს ადგილზე“.

მაიაკოვსკის ნაწარმოებთა გამოცემა ამერიკაში

ამერიკულ-რუსულმა ინსტიტუტმა ნიუ-იორკში გამოსცა ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაწარმოებთა კრებული. ამერიკელი პოეტის ი. შნეიდერის თარგმანით ქვეყნდება ლექსები და პოემები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, „კარგია!“, „სხდომობიას გადაყოლილნი“, „მარცხენა მარში“, „მთელი ხმით“, „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“ და სხვები. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე მაიაკოვსკის სტატია „როგორ უნდა გაკეთდეს ლექსი?“, ლიტერატურათმცოდნის ა. კაუნის და თეატრის მცოდნის ჰარიდანის სტატიები დიდი საბჭოთა პოეტის შემოქმედებაზე, დავით ბურლიუკის მოგონება მაიაკოვსკის შესახებ.

კრებული დასურათებულია „როსტას სატირის ფანჯრების“ პლაკატების რეპროდუქციებით და მაიაკოვსკის ნახატებით. (საკდესი).

სიძვირის ზრდა რუმინეთში

ბუქარესტი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთმა „ენციერსულმა“ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა რუმინეთში სიძვირის ზრდის შესახებ. „მთელი რუმინეთი აღნიშნავს იმ ფაქტს, — სწერს გაზეთი, — რომ სიძვირე საშინლად იზრდება. 1939 წლის შემოდგომიდან ფასები ფანტასტიკურად გაიზარდა. მაგალითად, ისეთი პირველი საჭიროების საქონელი, როგორიც არის პური, 120 პროცენტით გაძვირდა, მზესუმზირის ზეთი — 80 პროცენტით. ყურძენი— 300 პროცენტით, პამიდორი — 350 პროცენტით, ღობიო — 400 პროცენტით, ხახვი — 300 პროცენტით, მაწონი — 250 პროცენტით, არეული—350 პროცენტით, სპონი — 180 პროცენტით, ჩაი— 300 პროცენტით, წამლები — 200 პროცენტით, თეთრეული — 200 პროცენტით და სხვ.

აღნიშნავს, რა რომ ეს გაძვირება ევროპაში ატეხილი ომის პირდაპირი შედეგია, გაზეთი ასკვნის: „ფასები ასე დიდად არცერთ ქვეყანაში არ გაზრდილა, იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ერთ წელზე მეტია ომის მდგომარეობაში იმყოფებიან“.

ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის ბრძანება № 156

1940 წლის 19 ოქტომბერი.

1. ა. წ. 28-დან 30 ოქტომბრამდე ქ. თბილისში ჩატარებულ იქნას აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის რაიონული სწავლება:

28 ოქტომბერს სტალინის სახელობის რაიონში
24 „ კიროვის სახელობის რაიონში
25 „ 26 კომსრის სახელობის რაიონში
26 „ ორჯონიკიძის სახელობის რაიონში
28 „ ბერიას სახელობის რაიონში
29 „ ლენინის სახელობის რაიონში
30 „ მოლოტოვის სახელობის რაიონში.

2. სწავლება დაიწყოს 19 საათზე. სწავლებაში ჩაბმულ იქნას რაიონის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის ყველა ძალები და საშუალებანი.

3. ქალაქზე საჰაერო თავდასხმის დროს მოქალაქეთათვის ქცევის წესების შესახებ „საჰაერო განგაშის“ სიგნალი მიცემულ იქნას მთელ ქალაქში 19 საათზე. „საჰაერო განგაშის დამთავრების“ სიგნალი მიცემულ იქნას 19 საათსა და 15 წუთზე.

4. ქალაქის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შეკშენიღების სამსახურის უფროსმა ამხ. ბახტაძემ 28 ოქტომბრიდან ყოველდღე, განსაკუთრებულ განკარგულებამდე ქალაქის ქუჩების გაშუქება გადაიყვანოს განსაკუთრებულ რეჟიმზე.

სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო სარგებლობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება სწარმოებდეს ჩვეულებრივი წესით.

5. საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა, სანახაობითი საწარმოთა ყველა ხელმძღვანელებმა, სახლთა მმართველებმა და სამოქალაქო მოსახლეობამ მიიღონ ყველა საჭირო ზომები მათ მიერ დაკავებული სადგომების დასაბნელებლად, რისთვისაც გამოიყენონ შეკშენიღების ნათურები სპეციალური არმატურით, ფარდები, დარაბები და მათი შემცვლელი საგნები.

6. ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით ვბრძანებ საჰაერო განგაშის სიგნალის მიცემამდე და განგაშის დამთავრების სიგნალის მიცემის შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას ქალაქის ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს, დაწესებულების, სამკურნალოებისა და სასწავლებლების, აგრეთვე სანახაობითი საწარმოების შეუფერხებელი მუშაობა (სანახაობითი საწარმოებში საჰაერო განგაშის სიგნალით ამ სწავლების დროს არ განიტვირთოს მაყურებელთა დარბაზები).

შეკშენიღებისათვის კერძო ბინების მოუმზადებლობის შემთხვევაში, სახლთა მმართველებისა და ბინების დამქირავებელთა პირადი პასუხისმგებლობით კატეგორიულად ვკრძალავ სინათლის ყოველგვარი წყაროთი სარგებლობას (ელექტროენერგია, ნავთის ლამპები, სანთლები და სხვ.).

7. ქალაქის მთელი ტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსები, ავტობუსები, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები) უზრუნველყოფილ იქნას შეკშენიღების მოწყობილობით.

8. მუშურ - გლეხური მილიციის სამართველოს უფროსმა ამხ. გუჯაბიძემ სწავლების პერიოდში გააძლიეროს დაცვის სამსახური, მთლიანად უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეებისა და ქალაქის ტრანსპორტის მიერ „საჰაერო განგაშის“ სიგნალით საჭირო ქცევის წესების დაცვა ქალაქის ყველა რაიონში.

9. რაიონულ ფორმირებათა სამხედრო ვალდებულები, ობიექტების ფორმირებათა, თავდაცვის ჯგუფების, სანიტარული რაზმების, სანიტარული და სახანძრო საგუშაგოების, აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის სამსახურის ფორმირებათა უფროსმადგენლობა და რაგითი შემადგენლობა რაიონული სწავლების სათანადო დღეებში, რომლებიც ამ ბრძანების 1-ლ პარაგრაფშია აღნიშნული, გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტებზე თავიანთი პირდაპირი უფროსების მითითებით.

10. რაიონული სწავლების ხელმძღვანელობას ვაკისრებ ქალაქის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსს ამხ. ხურცილავას, მის მოადგილეს პოლიტანაწილში — ამხ. ანდღულაძეს და ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის საბრძოლო მომზადების უფროსს ამხ. გერშკოვიჩს.

11. „საშიში მდგომარეობის გამოცხადებისა და ქალაქზე საჰაერო თავდასხმის დროს მოქალაქეთა ქცევის წესების შესახებ“ მრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წლის 28 მაისის № 13/8 სავალდებულო დადგენილების ყველა დარღვევის მიმართ მიღებულ იქნას ადმინისტრატიული და სასამართლო ზეგავლენის ზომები და ყოველივდღე მოწესენდეს მე პერსონალურ დამრღვევთა შესახებ.

12. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაეცეს რადიოთი ქალაქის მთელი მოსახლეობის საყურადღებოდ.

ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსი მრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კოკლამაზაშვილი**

ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის პარტწყობრივი, ქ. ქ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი **ჩერქეზიშვილი**

ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი **ხურცილავა**

ორგანიზებულად ჩავატაროთ აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის სწავლება

მახლობელ დღეებში ქალაქ თბილისში ჩატარებული იქნება აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის სწავლება თემაზე: „ქალაქის შეკშენიღება მოწინააღმდეგის საჰაერო ძალთა თავდასხმის მოლოდინში“.

ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების წარმატება საგსებით და მთლიანად დამოკიდებულია ქალაქის მთელი მოსახლეობის ორგანიზებულობასა და დისციპლინირებაზე. შეკშენიღების წარსული სწავლებათა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის გაზრდილ აქტივობასთან ერთად, რომელმაც ტექნიკურად სწორად შესძლო სასამსახურო და საცხოვრებელი სადგომების განათების ყველა ჭრილების სწორად დაბნელება, მაინც იყო შეკშენიღების დისციპლინის დარღვევის საკმაოდ ბევრი ფაქტი.

უმეტეს შემთხვევაში დამნაშავენი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

ჩასატარებელი სწავლების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქალაქის სახალხო-სამეურნეო საქმიანობის შეუფერხებლობის უზრუნველყოფა. ყველა ფაბრიკის, ქარხანამ, სავაჭრო და სანახაობითმა საწარმომ, კულტურულმა დაწესებულებებმა, საავადმყოფოებმა და ტრანსპორტმა ნორმალურად უნდა იმუშაონ.

ამ უმნიშვნელოვანეს თავდაცვითს ღონისძიებას უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეკიდონ სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სავაჭრო ჭელის მუშაკები, სახლთა მმართველები, საერთო საცხოვრებლების კომენდანტები და თვითეული ცალკე მოქალაქე.

სწავლების დღეებში ქუჩების განათება გადაყვანილი იქნება განსაკუთრებულ რეჟიმზე, რომელიც ითვალისწინებს ლურჯი ფერის შეკშენიღების ნათურების გამოყენებას სპეციალური არმატურით. ივიდე განხორციელებულ უნდა იქნას ყველა სამრეწველო საწარმოში, დაწესებულებაში და საცხოვრებელ ბინებში. შეიძლება გამოყენებულ იქნას შეკშენიღების სხვა სამიდრო საშუალებაც — განათების ჭრილებზე მუქი ფერის მკვრივი მატერიის, შეკმაუდალი ქაღალდის და მათი შემცვლელი საგნების ჩამოფარება. ფარდები მჭიდროდ უნდა ეხებოდეს ვერტიკალურ ზედაპირს.

ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ გავაფრთხილოთ ყველა, რომ სპეციალური ღრმა ბაბაურების (თალფაქების) გარეშე ლურჯი ნათურების გამოყენება ვერ მიაღწევს მიზანს და ამას შეუძლია ქალაქის შენიღბვა გამომაშეღავნოს.

მეცადინეობის ჩატარების დროს შუქი არ იქნება ამორთული ცენტრალიზებული წესით და დაწესებულების, საწარმოს თვითეული ხელმძღვანელი, სახლთა მმართველები და ცალკე მოქალაქეები სრული პასუხისმგებელი არიან შუქმიღნების დისციპლინის მოთხოვნათა ზუსტად შესრულებისათვის.

ყველა მოქალაქემ ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმოს შუქმიღნების იმ საშუალებათა არსებობა და წესიერება, რომლებიც მთლიანად უზრუნველყოფენ მათ მიერ დაკავებული სადგომების დაბნელებას.

წესიერების დაცვისა და აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის ორგანოებს და რაიონებისა და ქალაქის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბებს უფროსს ამხ. ხურცილავას, მის მოადგილეს ამხ. ანდღულაძეს და ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის საბრძოლო მომზადების უფროსს ამხ. გერშკოვიჩს.

ქ. თბილისის აღგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბი.

ცხაკაიას საკოლმეურნეო თეატრი

ცხაკაიას საკოლმეურნეო თეატრმა წელს სეზონი დიიწყო სოფლებში წარმოდგენების გამართვით. ამავე დროს მომეიხარეობდა სათეატრო შენობის შეკეთება ქ. ცხაკაიაში. ამ დღეებში რეპეტიცია დასრულდება და თეატრს საშუალება ეძლევა განაგრძოს სეზონი კარგად მოწყობილ შენობაში.

მიმდინარე სეზონის რეპერტუარი ძირითადად განახლებულია. სეზონის პირველ ნახევარში დაიდგმება ნ. მიქავას და აბაშიძის „ბედნიერება“, აკაკის „კინტო“ და ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით გაკეთებული „იავნანა“. სწარმოებს სამივე პიესის დამუშავება. „იავნანას“ სდგამს ახალგაზრდა რეჟისორი გ. ტერტერაშვილი, „კინტოს“ და „ბედნიერებას“ — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. სეზონის მეორე ნახევარში განხრახულია „აყვავებული ბაღის“, ცაგარლის „ცომბირელის“, დენერის „დები ეერარის“ და სხვა პიესების დადგმა. მოზარდთათვის დაიდგმება შ. კუპავას „ცისფერი ხალიჩა“, განახლებული იქნება „რაც გინახავს, ეველარ ნახავ“, „ჰატარა კახი“ და „არშინ მალალან“. პირველ პრემიერად წელს თეატრი უჩვენებს „იავნანას“.

8-საათიან სამუშაო დღესა და 7-დღიან კვირაზე გადასვლამ დიდად შეუწყო ხელი თეატრის მუშაობას. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, საშუალება მოგვეცა მეტი რაოდენობითა და უფრო მაღალი ხარისხის პრემიერები ვუჩვენოთ მაყურებელს. თეატრის კოლექტივს სავსებით ნათლად აქვს წარმოდგენილის დიდი მოვალეობა, რომელიც საბჭოთა თეატრს აქვს დაკისრებული, და მთელ ძალღონეს იხმარს, რომ ღირსეულად მოემსახუროს თავის მაყურებელს.

შ. მჟავანაძე

თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

სასპორგო ქრონიკა

20 ოქტომბერს თბილისში იწყება შეკიბრება ველოსპორტში. შეკიბრებაში შეტანილია ველომარული ტრეკზე, კროსი. შეკიბრების ბოლოს ჩატარდება ველომარული გზატკეცილზე. შეკიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის საუკეთესო ველოსპორტსმენები.

ოქტომბრის დამლევს თბილისში ჩატარდება გასამხედროებული მოტოშეკიბრება 55 კილომეტრის მანძილზე. მეოცე კილომეტრზე შეკიბრების მონაწილეები ჩატარებენ სროლას, მეოცდაუთე კილომეტრზე გაივლიან „მოწყლული“ ზონას, შემდეგ გაივლიან ქვაბლის ფარდას 2.3 კილომეტრის მანძილზე. შეკიბრებაში შეტანილია ავრეთვე წყლის დაბრკოლების დაძლევა. შეკიბრება დამთავრდება 150-მეტრიანი საიერიშო ზოლით.

26, 27 და 28 ოქტომბერს ჩატარდება ინდივიდუალური შეკიბრება ფრანგულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობაზე.

თბილისი. ოპერა „ქაკო ყაჩაღი“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში. სურათზე: მსახიობი მ. ნაკაშიძე მზიას როლში და მსახიობი გ. გეჩაძე ზაჭროს მამის როლში (მეორე აქტის სცენა).

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამსვლელი სესია სტალინირში

სტალინირი, 19 ოქტომბერი, (საქ. კორ.). დღეს სტალინირის პოლიკლინიკის შენობაში გაიხსნა და ორ დღეს გაგრძელდება საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სამხრეთ-ოსეთის ექიმთა საზოგადოების სამეცნიერო სესია.

სესია მიძღვნილია კურორტ ჯავის მნიშვნელობისა და უკანასკნელ წლებში მასზე წარმოებული დაკვირვებათა გამოკვლევის შედეგებისადმი.

სესიაზე მოსმენილი იქნება 10-ზე მეტი მეცნიერული მოხსენება. მათ შორის პროფ. დ. ჯავახიშვილისა — „კურორტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერული შრომები“, პიდროგეოლოგ ფალავასი — „ჯავის რაიონის ჰიდრომინერალური სასმელი რესურსები და მათი გამოყენება“, შემდგომი პერსპექტივები“, ექ. ჭიჭაიასი — „ჯავის წყლის მოქმედება კუჭის სეკრეტულ ფუნქციებზე და კუჭის სიმჟავის მეტ-ნაკლებობით დაავადებულებზე“.

სესიაზე მოსმენილი იქნება აგრეთვე პროფ. ალ. ალადაშვილის, დოც. ალად დაშვილის, ექ. ადამიანი და სხვების მოხსენებები.

ბარგი მგზავრთან ერთად გაიგზავნება

საქართველოს სს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ავტომობილის სახელმწიფო მთავრდება დამზადება სამგზავრო ავტობუსების პირველი საცდელი საბარგო მისაბმელისა, რომელიც მუშაობას დაიწყებს ოქტომბრის დღესასწაულისათვის. მისაბმელის ტევადობა 1 ტონაა. მისაბმელს გაკეთებული აქვს ავტომატური მუხრუჭი. აქვს დახურული ძარა, რომელიც ბარგს წვიმისა და მტვრისაგან იცავს.

ამჟამად ბარგი ავტობუსს მიაყვება საბარგო მანქანით. მგზავრები თავიანთ ბარგს 2-3 საათის შემდეგ, ხანდახან კი ერთი დღის შემდეგ იღებენ. როდესაც მისაბმელები დაიწყებენ მუშაობას, ბარგი მგზავრთან ერთად წავა. ავტომობილის სახელოსნო მისაბმელის გამოცდის შემდეგ შეუდგება მათს მასობრივ გამოშვებას.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის თბილისის ავტომობილის სახელოსნოს კოლექტივი უშვებს 52 ადგილიან სამგზავრო ავტობუსს, რომელიც სათვალთვალო პირველი ორი, აგებულია ავტობუს „ზის-5“ შასის კონსტრუქციის გამოცვლით. (საკდესი).

კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2157304, გაცემული ელისაბედ კონსტანტინესასულ **კალმახელიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3075987, გაცემული აკაკი დავითის-ძე **ბუაჩიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ხარაგოული) რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1532171, გაცემული ბიქტორ მათეს-ძე **კოკაძის** სახელზე, და პარტბილეთი № 1529807, გაცემული ზაქარია ლაზარეს-ძე **გუდაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3076152, გაცემული პოლიაქტოზ დომენტის-ძე **ბენდელიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2854427, გაცემული მელენტი გიორგის-ძე **კუპრაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საუთგოველეგრაფო კავშირგაბმულობა

ბილდ აპარატით ყოველდღიურად გადასცემენ და იღებენ ათობით ფოტოდეპეშას, სურათს, ნახაზს და სხვ. დღემდე საფოტოტელეგრაფო კავშირი მოსკოვთან მხოლოდ რადიოთი ხდებოდა. ამჟამად ფოტოსურათებს სადენითაც გადასცემენ: სადენის ფოტო-კავშირის შემოღებით შესაძლებელი ხდება მიღებულ და გადაცემულ იქნას აგრეთვე ხახვავფერადიანი სურათები მაშინ, როდესაც რადიოთი მხოლოდ გრაფიკულ და კონტრასტულ ფოტოსურათებს გადასცემდნენ. (საკდესი).

ღეკციები

21 ოქტომბერს, საღ. 8 ს. 30 წუთზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. **მელქაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **ლენინ - სტალინის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ“.**

21 ოქტომბერს, საღ. 8 ს. 30 წუთზე, მიასნიკოვის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პრ. № 38) შესდგება ამხ. **ფორჯიკაშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.**

ბილეთის ფასი 1 მან. ბილეთები იყიდება მიასნიკოვის სახელობის კლუბის სალაროში, რაიკომის პარტკაბინეტში და რაიონის ყველა მსხვილ საწარმოსა და დაწესებულებაში.

ღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „ქაჯანა“ (მე-4 აბ.), ღღისით — „ქაჯანა“ (მე-3 აბ.), **სანკულტურის** ქართული თეატრი — „ტუმარა-მასპინძლობა“, **გრიბოედოვის** სახელობის — „ერნანი“ (აბ. გარეშე), **სომხური დრამა** — „ჩემი შვილი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „გრუნია კორნაკოვა“, **ღღისით** — „მეგობრები ბანაკიდან“, **ოქტომბერი** — „უმშვენიერესი პატარძალი“, **დამკვრელი** — „ჩაპაევი“, **ღღისით** — „ჩაპაევი“, **კომკავშირელი** — „ტრაქტორისტები“, **ლუკასემბურგის** სახ. — „მიტკა ლელიუკი“, **26 კომ.** სახ. — „ჩაპაევი“. **კომინტერნი** — „დიდი ვალსი“, **განთიადი** — „პარტიული ბილეთი“, **წითელი არმიის სახლი** — „მეთაურთა ახალგაზრდობა“, **ვოროშილოვის სახელობის** კლუბი — „უკანასკნელი მასკარადი“, **ნავთლუღის რკინიგზის** კლუბი — „სევილიელი მეთევზეები“, **ახალი ამბები** — „ფენბურთელები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

20 ოქტომბერს ად. გარეშე
ქაქო ყაჩაღი

22 ოქტომბერს მე-5 ად. 1 წარმ.
ზრაჟიჟა

24 ოქტომბერს მე-3 ად. 1 წარმ.
ღაისი

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
20 ოქტომბერს
გიორგი საააკაძე
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
20 ოქტომბერს დღის წარმოდგენა
გიორგი საააკაძე
დასაწყისი დღის 12 ს.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

20 ოქტომბერს	22 ოქტომბერს	23 ოქტომბერს
მაღამ სან-ჟენ	გიორგი საააკაძე	მაღამ სან-ჟენ

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
20 ოქტომბერს დღის წარმოდგენა გიორგი საააკაძე. დასაწყისი დღის 12 ს.

მომარაგებისა და გასაღების რესპუბლიკური ტრესტი
„საქმომარაგება“
აცხადებს უწყება-ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ საქონლის ფასეულობის ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით მასალების გაცემა, როგორც თავის საბაზისო საწყობიდან, ისე ხის დამამუშავებელი ქარხნიდან და შემმნისავი კანტორიდან შეწყვეტილი იქნება ა. წ. 26 ოქტომბრიდან 1-ლ ნოემბრამდე.
433 ტრესტი „საქმომარაგება“.

ექიმი
ა. დ. ქლენჯი
შინაბანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა.
მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე.
მისამართი: ვაშლოვანის ქ. № 5 (ზემელთან). 4—3 7821

მშობლები კოლია, თინა, მამიდა თამარ ლეკაშვილები, დეიდები ანგელინა შვილებით, ვენერა, ანიკო ანუქიძეები იუწყებიან პატარა
ჯემალის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 4 ს. საქ. სამხედრო გზა, 32. 8450

ცოლი ანა, შვილები გიორგი, ივანე, ეთერ, რძლები თამარ, ნინო, შვილიშვილები მზია, ჯანგირ, ლილი გოჩაშვილები, ნიკოლოზ, სოფიო ოსკაპელები იუწყებიან
ალექსანდრე გიორგის-ძე გოჩაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 ს. ვერჰარნის ქ. (ყოფ. რევაზოვის) № 24. 8463

შვილები ირაკლი, სოლომონ, გიორგი, რძლები ირინა, მუსია, შვილიშვილები მენთეშაშვილები, ელენე ტასიჩკო იუწყებიან
ტიმოთე სოლომონის-ძე მენთეშაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 2 ს. ბარნოვის, 7. 8441

ქაბაძე, მგალობლიშვილი, ნემსაძე, მწყიძე, მელია, ჭავჭანიძე, ქალანდაძე, თ. ტყეშელაშვილი, კუტუბიძე, ტყეშელაშვილი, მესხიძე, გამცემლიძე, ცაბაძე იუწყებიან დოცენტ პარმენ ხელაძის მამის
სილიბისტრო ს
გარდაცვალებას. 8442

თბილისის „გუტტრანსპორტის“ ჯგუფის ხელმძღვანელები რატიანი, სალაყაია, ბარამიძე, იარალოვი, ჩუმაკი, ცირიკიძე, ჭურდოვანიძე იუწყებიან ვალერიან ცოტაძის მეუღლის
რ ა ი ს ა ს
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 2 ს. ბრძოლის, 39. 8443

ბარნაბიშვილი, ვახვახიშვილი, გარსევანიშვილი, ჭავჭანიძე, სიფროშვილი, რაბუტოვსკაია ოჯახობით იუწყებიან აგრონომ ლია ხუციშვილის მეუღლის
მურმან დვალიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 4 ს. ბარნოვის, 104 (ვაკე). 8444

ქმარი რაულენ, დედამთილი ოსანა, ნინო, მარიამ, მინდორა, ევა, სოკრატ, ირაკლი, ინდიკო იუწყებიან, რომ 20/X 3 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია
თამარ ცხოვრებაძე-ბრეგვაძის
პანაშვიდი. 8449

ქორიძე, მალალურაძე, მადიგანი, აბრამიშვილი, ხალუაშაია, ჰაპაიანი, მდივანი, იაკუშინი, ნარჩომაშვილი, ბაბულაძე, ჯაფარიძე, ბუჩუკური, სოლოშვილი იუწყებიან ვასილ ბარამიძის დედის
ზინოგ ბარამიძის
გარდაცვალებას. 8440

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სამკერავლო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან კარიერების სამმართველოს მთავარი ბუხჰალტრის ირაკლი ბერულავას დედის
მართა
გარდაცვალებას. 8465

სამეანო სკოლის პედაგოგიური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის მასწავლებელს მარო შარაშენიძეს მისი დედამთილის
ზინოგბი ბარამიძის
გარდაცვალების გამო. 8466

სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მოშაკთა კოლექტივი იუწყება ბაზრის ყოფილი თანამშრომლის
ალექსანდრე გიორგის-ძე გოჩაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ახლო ნათესავებს. 8467

დედა ნატა, ძმები ემელიანე, დავით, რადიკო, დები პოლინა, ფედიკო, ვალია, მამიდა სალომე იუწყებიან
ელენე ალექსის-ასულ ოდიშარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/X ს. ნოსირში (ცხაკაიას რ.).

თბილისის ლიმონათის ქარხნის კოლექტივი იუწყება გიორგი გოჩაშვილის მამის
ალექსანდრე გიორგის-ძე გოჩაშვილის
გარდაცვალებას. 8451

ბიჭიკო, ჭეთო, სოგრატ ადამიები, კოკოშა ლომაია, ბერძენიშვილი, თოდუა, ბეჟიტაშვილი იუწყებიან აკაკი დგებუაძის დედის
ფეოდოსი დგებუაძის
გარდაცვალებას. 8448

შვილები ნესტორ, ივანე, ისაკ, ელენე ცინცაძეები, რძლები ჭყონია, ესმა, მარუსია შვილებით, სიძე ვალიკო იუწყებიან
სალომე გიორგი-ასულ ცინცაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/X ლანჩხუთში.

ომარ და საშა მირიანაშვილები იუწყებიან სიძის
ბარნაბ გიორგის-ძე ქაქაურიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 4 ს. ტექნიკური, 2. კუკიის სასაფლაოზე. 8445

მშობლები გიორგი, ევა, მეუღლე ნინო, დები თამარ, ვერა, ანე